პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

1975 სამშაბათი 15 აპრილი № 88 (16214) ფასი 2 კაპ. 1975

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! აქტიურად იბრძოლეთ პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ჩვენი სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი შემდგომი განმტკიცებისათვის.

უფრო მაღლა ასწიეთ 1975 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისა და მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების დროშა!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან

პარტია მოგვიწოდებს

საბჭოთა ადამიანები, მთელი პროგრესული კაცობრიობა ემზადებიან 1 მაისისათვის — იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღისათვის. სახელოვანი ლენინური ტრადიციით ამ ნათელ საგაზაფხულო დღესასწაულს ვეგებებით, როგორც პარტიისა და ხალხის მიღწევათა საბრძოლო დათვალიერებას, ამასთან მთავარ ყურადღებას ვუთმობთ ქვეყნის წინაშე დასახულ დიდ ამოცანებს. შუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას, ინტელიგენციას, რომლებიც პატრიოტული სიამაყით აჯამებენ ყოველივე იმის შედეგებს, რაც გაკეთეს, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვონ ახალი წარმატებანი კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე. ამისათვის წარმართავენ მილიონთა შემოქმედების ენერგიას სკკპ ცენტრალური კომიტეტის მთამაგონებელი მოწოდებანი, რომლებიც გუშინ გამოქვეყნდა.

—საბჭოთა კავშირის მშრომელებო! აქტიურად იბრძოლეთ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ჩვენი სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის!

უფრო მაღლა ასწიეთ 1975 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისა და მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების დროშა!

წლევანდელი გაზაფხული აღინიშნა უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენებით. რამდენიმე დღის შემდეგ გაიმართება პრულად საკავშირო ლენინური კომუნისტური შაბათობა. ახლოვდება ფაშიზმზე ჩვენი ხალხის გამარჯვების 30 წლისთავი, რომელიც დაავეგვირგვინა დიდ სამამულო ომში საბჭოთა მეომრების, პარტიზანებისა და იატაკქვეშელების, ზურგის მშრომელების უმაგალითო მსოფლიო-ისტორიული გმირობა. იწყება მზადება მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების — ნამდვილად სახალხო ხელისუფლების ორგანოების არჩევნებისათვის. ყოველივე ეს კიდევ უფრო ზრდის მასების პოლიტიკურ და შრომითს აქტივობას, კიდევ უფრო განამტკიცებს საბჭოთა საზოგადოების მონოლითურ ერთობას, პარტიისა და ხალხის დიად ურღვევ ერთიანობას.

პირველი მაისის წინ სკკპ ცენტრალური კომიტეტი ყველა მშრომელს მიმართავს გულთბილი მოწოდებით, რომელიც აღსავსეა მათი შემოქმედებითი ძალების ღრმა რწმენით, და აყენებს ამოცანებს, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე. სოციალისტური ეკონომიკის — სამშობლოს ძლიერებისა და ხალხის კეთილდღეობის განუზრელი გაუმჯობესების საფუძვლის შემდგომი აღმავლობისათვის მტკიცედ რომ ვიბრძვით, უნდა მივაღწიოთ შრომის მაღალ ნაყოფიერებასა და წარმოების ეფექტიანობას, გამოვუშვათ მეტი, უკეთესი ხარისხის პროდუქცია, ნაკლები დანახარჯებით. მრეწველობის მუშაკთა მოვალეობაა დაიჩარონ ტექნიკური პროგრესი, უფრო სწრაფად აითვისონ და უფრო სრულად გამოიყენონ სიმძლავრენი, გაზარდონ მაღალი ხარისხის ფასთო მოხმარების საგნების გამოშვება. მშენებელთათვის ყველაზე მთავარია დროულად ამოქმედონ ახალი ობიექტები, გააუმჯობესონ სამუშაოთა ხარისხი და შეამცირონ მათი თვითღირებულება. სოფლის მშრომელებმა აქტიურად უნდა იბრძოლონ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ხუთწლიან დავალებათა შესრულებისათვის, შინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა სანიმუშოდ დამთავრებისა და 1975 წელს უხვი მოსავლის მიღებისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი მიმართულია მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებისადმი, ვეტერანებისა, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო სამსახურის, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებისადმი, სახელოვანი საბჭოთა ქალებისადმი, ვეტერანებისა და ახალგაზრდებისადმი, პიონერებისა და მოსწავლეებისადმი... და თვითეული მათგანი ამ მოწოდებებში პოულობს თავისი მოქმედების კონკრეტულ, მკაფიო პროგრამას.

შეჯიბრების მოწინავენი უჩვენებენ საქმისადმი შეგნებული მიდგომის, დამკვრელური მუშაობის, გაბედული შემოქმედებითი ძიების შესანიშნავ მაგალითს. პარტია ყველა საბჭოთა ადამიანს მოუწოდებს უფრო ფართოდ გაშალონ მოძრაობა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის, წმიდად დაიცვან და ამრავლონ საზოგადოებრივი საკუთრება. მტკიცედ უნდა დავეუფლოთ ეკონომიური ცოდნას, მეურნეობის გაძღოლისა და მართვის თანამედროვე მეთოდებს. წარმოებაში დანერგოთ შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, მოწინავე გამოცდილება, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები. ყოველნაირად უნდა ავამაღლოთ შრომითი კოლექტივების როლი კომუნისტურ წრთობაში, თვითეული ადამიანის შრომითი და საზოგადოებრივი აქტივობის შემდგომ განვითარებაში. კომუნისტთა საპატიო მოვალეობაა იყოს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის პირველ რიგებში, მასების დაუცხრომელი ორგანიზატორები და აღმზრდელები.

გაზაფხულის ამ დღეებში განსაკუთრებით მკაფიოდ იგრძნობა ლენინური პარტიის, ჩვენი ხალხის დიად საქმეთა და მიღწევათა, განუყოფელი კავშირი მსოფლიოს რევოლუციურ განახლებასთან. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშის ერთგული საბჭოთა ადამიანები მშობლიურ პარტიასთან ერთად პირველი მაისის წინ მთელი გულითა და გულით ძმურად მიესალმებიან კომუნისტურ და მუშათა პარტიებს, სოციალისტური ქვეყნების ხალხებს, მთელი მსოფლიოს კლასობრივ ძმებს, ყველას, ვინც იცავს მშვიდობისა და თავისუფლების, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის საქმეს. დიდ მტკიცებებდეს რევოლუციური ძალების — სოციალიზმის მსოფლიო სისტემის, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის, ხალხთა სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლთა ძლავრი კავშირი.

თანამედროვე განვითარება მსოფლიო ახპარეზზე მიმდინარეობს სკკპ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული მშვიდობის პროგრამის ფუძეების კეთილნაყოფიერი ზემოქმედებით. საბჭოთა კავშირი მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებს ლენინურ საგარეო პოლიტიკას — მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის პოლიტიკას, იმპერიალიზმის, რეაქციისა და ომის წინააღმდეგ მებრძოლი მთელი ძალების შეკავშირების პოლიტიკას. მშრომელთა სახელოვანი ინტერნაციონალური დღესასწაულის წინ სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ხალხებს ამრავლონ ღონისძიებანი ახლო აღმოსავლეთში საომედო და მტკიცე მშვიდობისათვის, მყარი მშვიდობისა და საელმწიფოთა თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის ზონად ევროპის გადაქცევისათვის, აზიის კოლექტიური უშიშროებისათვის. საერთაშორისო დაძაბულობის შენელება უნდა გახდეს შეუქცევადი, ომოლო მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები გადაიქცეს სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთობის ურყევ ნორმად.

ისტორიული ოპტიმიზმის გრძნობით, ძალღონით აღსავსენი, ახალი მიღწევებისადმი სწრაფვით ეგებებიან საბჭოთა ადამიანები 1975 წლის პირველ მაისს. ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხთა ყველა ენაზე ამაყად გაისმის მოწოდებათა სიტყვები:

— გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — მუშათა კლასის, მთელი საბჭოთა ხალხის ნაცად ავანგარდს!

— მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

14 აპრილს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVI პლენუმი.

პლენუმზე „პარტიული დოკუმენტების გამოცვლის შედეგებისა და რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანების შესახებ“ მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. მ. სირაძემ.

ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის გადაწყვეტილებანი „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების განხორციელების შესახებ, გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ზ. ა. პაპარიძემ.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ფ. ხ. სანაკოევი, საქართველოს კომპარტიის ქალაქ თბილისის კალინინის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ნ. ვ. გურგენიძე, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. ა. ა. საყვარელიძე, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ამხ. ნ. ი. როდომანჩენკო, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. ო. ვ. მელქაძე, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტკომის მდივანი ამხ. ა. შ. ბაძრაძე, გარდაბნის რაიონის ნაზარლოს მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის პარტბიუროს მდივანი ამხ. მ. დ. ალიევი, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ს. ე. ხაბეიშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი ამხ. თ. პ. გუაჩიძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. ო. ი. მენაბდე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ამხ. დ. ი. ჩხიკვიშვილი, საქართველოს კომპარტიის თერჯოლის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ა. ვ. ბურჯანაძე, თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების პარტკომის მდივანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ამხ. ლ. მ. ვიბლიანი.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო დადგენილება.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხი. მუშაობაში დაშვებული უხეში შეცდომებისა და ნაკლოვანებებისათვის პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის პოსტიდან მოხსნა ამხ. ა. ნ. ჩურკინი და გამოიყვანა იგი ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობიდან.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად და ბიუროს წევრად აირჩია ამხ. გ. ვ. კოლგინი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ამხ. ი. ნ. კუბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ამხ. ნ. ი. გრიშაკოვი.

(საქინფორმი).

შაბათობისათვის ემზადებიან

ქიათურის მანგანუმის ტრესტის მაღაროთა სამმართველოებში მხარი დაუჭირეს მოსკოვის მოწინავე საწარმოთა თაოსნობას იმის შესახებ, რომ 19 აპრილს მოეწყოს ვ. ი. ლენინის დაბადების 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობა. შაბათობისათვის დიდი პატრიოტული აღმავლობით ემზადება ორჯონიკიძის მაღაროთა სამმართველოს კოლექტივი.

მოსკოველთა თაოსნობას ერთ-ერთმა პირველმა დაუჭირა მხარი ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა სამმართველოს კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ცვლამ, რომელსაც მ. ბრეგვაძე ხელმძღვანელობს. სურათზე: მოწინავე ცვლის მაღაროელები (მარჯვნიდან მარცხნივ): შ. ხვედელიანი, ცვლის უფროსი თ. ბრეგვაძე, ნ. ცერცვაძე, თ. ნოზაძე და ნ. კაპანაძე.

ა. მამაკარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

შრომითი გამარჯვება

ვ. ი. ლენინის სახელობის „კოხტლა-იარვეს“ ფიქალდამამუშავებელი კომბინატის მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს

ძვირფასო ამხანაგებო!

გულითადად გილოცავთ დიდ შრომითს გამარჯვებას — მინერალური სასუქებისა და სხვა ქიმიური პროდუქციის გამოშვების მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულებას.

თქვენი წარმატება იმის შედეგია, რომ კომბინატის მუშათა კოლექტივმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა შრომის დიდ ნაყოფიერებას მიაღწიეს, ფართოდ გამალეს სოციალისტური შეჯიბრება, გამოიყენეს ქვეყნის ქიმიურ საწარმოთა მოწინავე გამოცდილება, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა გასწიეს წარმოების ეფექტიანობის ამაღლების დარგში სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ესტონეთის მეფიქალე-ქიმიკოსთა მიერ ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ნრდილო-დასავლეთის სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებათა მინერალური სასუქებით დასაკმაყოფილებლად და არსებითი წვლილია მყარი მოსავლის მიღების უმნიშვნელოვანესი ამოცანის შესრულებაში.

დარწმუნებული ვარ, რომ კომბინატის კოლექტივი წარმატებით შეასრულებს 1975 წლის ნაკისრ გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს, ძალღონეს, ცოდნასა და დაგროვილ გამოცდილებას არ დაიშურებს ქიმიური პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ახალ დიდ წარმატებებს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეო შრომაში.

ლ. ბრეჟნევი,

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

სოციალისტური ქვეყნების სტუდენტთა შეხვედრის მონაწილეებს

ძვირფასო მეგობრებო!

დიდ კმაყოფილებას მგვრის სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელით გულითადად მოგესალმოთ თქვენ, სოციალიზმის ქვეყნების სტუდენტთა შეხვედრის მონაწილეებს — იმ ახალი, სოციალისტური სამყაროს ახალგაზრდობის ღირსეულ წარმომადგენლებს, რომელიც ხვალინდელ დღეს, პლანეტის მომავალს განასახიერებს!

თქვენ ამ შეხვედრაზე შეიკრიბეთ ორმოცდაშვიდნავი თებერვლის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 105-ე წლისთავის წინ. ჩვენი პარტიის დამაარსებელმა, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელმა — ვ. ი. ლენინის სახელთან დაკავშირებულია ძირეული შემობრუნება კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ. ლენინური აზრის დიადი სიბრძნე და ენერგია ხორცს ისხამს მსოფლიო სოციალისტურ სისტემის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ისტორიული გამარჯვებებით. სასიხარულოა იმის შეგნება, რომ სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდობას, სტუდენტებს მარქსიზმ-ლენინიზმი დაუშრეტელ ძალასა და შთაგონებას ინიჭებს სოციალიზმისა და კომუნიზმის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში.

თქვენი შეხვედრა იმ დღეებში მიმდინარეობს, როცა საბჭოთა ადამიანები, სოციალისტური ქვეყნების ხალხები, მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავენ ღირსსახსოვარ თარიღს — ჰიტლერულ ფაშიზმსა და იაპონიის მილიტარიზმზე გამარჯვების 30-ე წლისთავს, რომელიც საყოველთაო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა გახდა. ამ დიადი ბრძოლის მონაწილე უფროსი თაობა მღელვარებით იგონებენ ძნელ საფრონტო გზებს, ომის ცეცხლოვან წლებს, როცა იწრთობოდა ჩვენი ქვეყნების კომუნისტთა საბრძოლო ძმობა, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ნამდვილ პატრიოტებად, ინტერნაციონალისტებად, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თანამიმდევრულ მებრძოლებად. 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვებამ დამარცხებულად დაადასტურა, რომ სწორედ სოციალიზმია მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის საიმედო ბურჯი.

ჩვენი ახალგაზრდობა წმიდად ინახავს და ამრავლებს ამ ტრადიციებს, განამტკიცებს სოციალისტური თანამეგობრობის ხალხთა ერთიანობას. სოციალისტური საზოგადოება ახალგაზრდებს ანიჭებს შეუზღუდველ შესაძლებლობას განათლებისათვის, ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარებისათვის, შთაგონებული, შემოქმედებითი და ნამდვილად თავისუფალი შრომისათვის. თქვენ, სოციალისტური ქვეყნების მთელმა ახალგაზრდობამ, მუშების, გლეხებისა და სახალხო ინტელიგენციის შვილებმა, უნდა განაგრძოთ სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის საქმე. ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა გახდეთ ყოველმხრივ მომზადებული სპეციალისტები, ღრმად და შემოქმედებითად დაეუფლოთ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, მსოფლიო კულტურის სიმდიდრეებს, პროფესიულ ოსტატობას, ყველაზე სრულად იყენებდეთ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევებსა და მეურნეობის გაძღოლის სოციალისტური სისტემის უპირატესობებს. მტკიცე კომუნისტური მრწამსის, ეუმჩარიტად სიტყვა მორალური თვისებებისა და ფუნდამენტური ცოდნის შეერწყმა, უნარი კლასობრივი პოზიციებიდან აფასებდეს სახოგადოებრივი განვითარების ყველა მოვლენას — აი რით გამოირჩევა სოციალისტური საზოგადოების სპეციალისტი, რომელიც ყველაზე მაღლა აყენებს პარტიისა და ხალხის ინტერესებს. და ძალზე კარგია, რომ სტუდენტობის წლებშივე წარმატებით სწავლასა და შემოქმედებითს შრომას თქვენ მეცნიერულ ძიებასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას უხამებთ,

ძვირფასო ამხანაგებო!

უკანასკნელი წლები წარმატებით აღინიშნა მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლაში, რომელსაც ჩვენი პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ერთობლივად ეწევიან მომძლე სოციალისტურ ქვეყნებთან. ჩვენ გადაჭრით ვუჭერთ მხარს რევოლუციურ ძალებსა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ვილაშქრებთ იმპერიალიზმისა და აგრესიის ხრიკების წინააღმდეგ. ეს მკაფიო და პატიოსანი კურსია. იგი ახლობელი და გასაგებია ყველა მშრომელი ადამიანისათვის. მოახმართ შენი სიცოცხლე, მთელი შენი რევოლუციური მგზნებარება და ენერგია ქვეყნად მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების საქმეს, — აი კომუნისტთა ცხოვრების დიადი აზრი, რაოდენ დიადი და მშვენიერი მიზანია ახალგაზრდობისათვის!

ეჭვი არ არის, რომ ახლანდელი შეხვედრა ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების სტუდენტთა და ახალგაზრდობის კავშირების მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

სულითა და გულით გისურვებთ სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდა თაობის წარმატებას ამ დიდ და პეშმარიტად კეთილშობილურ საქმეში!

ლ. ბრეჟნევი,

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 14 აპრილს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის რევოლუციური ხელმძღვანელობის გენერალური მდივნის მოადგილე, ერაყის რესპუბლიკის რევოლუციური სარდლობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს

ოსტატი ქარხანაში დაბრუნდა

— ახლა იქნებ ვერც კი აგიხსნათ, თუ რატომ დავტოვე საშუშაო. მაშინ კი, სამოცდათორმეტი წლის აგვისტოში, მოკლე ფანცხდება დავწერე და ქარხნის კოლექტივს დავეშვიდობე, გული ჩამწყდა, მაგრამ სხვანაირად არ შეიძლებოდა, — მიამბობდა გუჯა ხეცაძე — მიზეზი? ადამიანის ცხოვრებაში არის დღეები, როცა მეტი სითბო, მოფერება გინდა... ჩემი მეგობრებისაგან, ამერკელ ზეინკლთა ბრიგადის ამ წევრებისაგან, რომელთაც მე ვხელმძღვანელობდი, მეგობრული სიყვარული არ მაკლდა, მაგრამ, პირდაპირ რომ ვთქვა, ქარხნის ხელმძღვანელობისაგან მაინც და მაინც ყურადღებას ვერ ვგრძნობდით.

ასე იყო თუ ისე, ჭუთაისის შეიარაღებაბარიანი ტრაქტორების ქარხნის რსტატმა გუჯა ხეცაძემ სამუშაო დატოვა. განცხადებაში წასვლის მიზეზზე ერთი სიტყვაც არ უთქვამს.

კოლექტივში გუჯა ენერგიითა და შრომისმოყვარეობით გამორჩეოდა. მისი ასეთი გადაწყვეტილება ძალიან გაუკვირდათ. ქარხნის ხელმძღვანელობასთან ერთი მეორის მიყოლებით შეიყარნენ ამერკელ ზეინკლთა ბრიგადის წევრები ეშერ გამგონეიშვილი, ალექსი არჯევანიძე, გურამ გოქსაძე, არჩილ რევიშვილი. ისინი ამტკიცებდნენ, რომ გამოცდილი ოსტატის წასვლა უარყოფითად იმოქმედებდა სამქროს კოლექტივზე. ჩვენ ჩვენის მხრივ ბევრი ვეცადეთ, რომ ოსტატს გადაწყვეტილება შეეცვალა, მაგრამ არაფერი გამოგვიდიდა, ახლა იქნებ თქვენ იცოდნთ რაიმე და უკანეკნ დაგიბრუნოთო. ქარხნის მაშინდელმა ხელმძღვანელებმა ზეინკლები დააშოშმინეს, რა მოხდა, მთლად ხეცაძეზე როდია დამოკიდებული ჩვენი ქარხანა, თუ წავიდა, დე წავიდესო...

ეშერ გამგონეიშვილი გაეცინცლდა: გუჯას სინდის-ნამუსი ათ კაცს ეყოფათ. გაჭირვების ტალკვესია, ღვიძლ ძმებში არ გამოგვერჩევიო, დასაკვნეს სხვებმაც.

—ჩვენ მოუვლით მაგას, ჭუთაისში სამუშაოს ვეღარ ეღირსება, — რიხით განაცხადეს ხელმძღვანელებმა. ერთი სიტყვით, არც მეგობართა ხვეწნა მუდარამ და რჩევა-დარიგებამ, არც ხელმძღვანელთა დამუქრებამ არ გასჭრა და გუჯამ სამუშაო დატოვა. მეგობრებმა რა არ სცადეს, როგორ არ მიუდგნენ, მაგრამ ქარხნიდან წასვლის მიზეზი ვერ დააცდენინეს. კითხვებისათვის თავი რომ აეცილებინა, როგორც იყო ერთხელ ამოდენილა: ნაქირაებში ვცხოვრობ, ბინის მიღების იმედი არ მქონდა, რკინიბეტონის ქარხანაში მოვეწყობი და იქნებ იქ ბინა მივიღოო. ზეინკლებმა შენიშნეს, რომ იგი ტყუოდა, მართალია, ბინა უჭირდა, მაგრამ ადრე ამის გამო სიტყვა არ დაუძრავს და რაღა ამ ერთ დღეს დააწვა კისერზე უბინაობის მთელი სიმძიმე, როცა განცხადება დაწერა? არა, აქ სხვა უფრო მნიშვნელოვანი რაღაცა იყო, რომელსაც გუჯა არ ამხელდა. და მალავდა.

ქარხნის ხელმძღვანელებმა დანაქადი შეასრულეს, სადაც კი მივიდა, ვისაც კი მიმართა სამუშაოზე მოსაწყობად, ყველამ ცივი უარით გამოისტუმრა.

დღეები დღეებს მისდევდა, დაღლია კაცი, განერვიულდა.

„არა ხარ სწორი, არა, ეუბნებოდა შინაგანი ხმა, სიამაყე დაგღუპავს, რა მოხდა ისეთი, გაწყენინეს? უნდა დათმო. ისინი ხელმძღვანელები არიან, შენზე მეტი იციან“.

„მერეკა მე ვიმეინი არა ვარ? უკიჟინებდა მეორე ხმა, დღეიმეს ვასწორებდი, გულიანად ვმუშაობდი, მაგრამ ვინ დამიფასა, შეიძლება შეეცდი, განცხადება რომ დაწერე, მაგრამ არ უნდა ეკითხათ, არ უნდა დაინტერესებულიყვნენ ადამიანის ბედით? პირიქით მოიქცნენ, ყველგან გზა მომიჭრეს, სამუშაოზე არ მღებულობენ“.

იძულებული გახდა პარტიის საქალაქო კომიტეტისათვის მიემართა, რომლიც იქნა ეღირსა, აპრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში მოეწყო ზეინკლად. მაგრამ მშობლიურ ქარხანაზე ფიქრი ერთი წუთითაც არ მოსცილებია. ყოველ შაბათ-კვირას ხვდებოდა მეგობრებს, გამოიკითხავდა ქარხნის ამბებს, სინანულს ვერ ფარავდა, მაგრამ ძველ ხელმძღვანელებთან დაბრუნებას სიკვდილი ერჩია. თავს იმითაც იმართლებდა, რომ შაშან მარტო გუჯა არ წასულა ქარხნიდან, გიორგი ჯინჯიხაძე, ვალერიან დგებუაძე, პაპლატ ეხდელაძე, ბობდო სოგუა, მიხეილ ჩხაპერიძე, სტეფანე პოპოვი და ბევრი სხვაც მიჰყვა მის კვალს. მუშებისადმი გულგრილმა დამოკიდებულებამ, შრომის ცუდმა ორგანიზაციამ კოლექტივის რწმენა გაბზარა, სამუშაოზე გული აუცრუდათ.

და აი, დაჭრილა ახალმა სიომ. ბევრი რამ შეიცვალა. ქარხნის ხელმძღვანელობაც გადაწალისდა, გუჯა ხეცაძე მშობლიურ ქარხანაში დაბრუნდა. ქარხანაში დაბრუნდნენ ზეინკლები ვალერიან დგებუაძე და პაპლატ ეხდელაძე, ელექტროშემდუღებელი მიხეილ ჩხაპერიძე, ეკონომისტი ელეონორა კალატოზიშვილი და სხვები.

— ახლა სულ სხვანაირად არის საქმე, — მომითხრობს გუჯა ხეცაძე, — მუშათა აზრს ქარხნის ხელმძღვანელები ანგარიშს უწევენ, როცა იცი, რომ ყურადღებით გეპყრობიან, ზრუნავენ შენთვის, მუშაობაც უფრო სახალისოა.

პიროვნებისადმი კოლექტივის ზრუნვის დამახასიათებელი ფაქტია წერილი, რომელიც ქარხნის დირექტორმა რევაზ ქარცეიძემ მიიღო ამ დღეებში საბჭოთა არმიის რიგებში მყოფი ერთი ახალგაზრდისაგან.

„სალამი საყვარელი ქარხნის კოლექტივს, — ასე იწყებს თავის წერილს ამჯერად სამხედრო მოსამსახურე, ქარხნის ყოფილი მუშა თეიმურაზ მესხი. — გისურვებთ წარმატებებს და სასაგალეკტროშემდუღებელი

კოლექტივი და პიროვნება

ხელო ახალგაზრდების აღზრდას. პატივცემულო დირექტორო, გთხოვთ ქარხნის მთელ კოლექტივს გადასცეთ თავისი აღზრდილის დიდი მოდინი, რომ წერილი დავაგვიანე, მაგრამ მე მგონი მაპატიებენ და გამიგებენ, სამშობლოს დაცვის სამსახური წმინდა საქმეა და ცოტა არ იყოს, დატვირთული ვარ, ვეუფლები რთულ ტექნიკას. სიმართლე რომ გითხრათ, პირველად ცოტა გამიჭირდა, მაგრამ ვიძლევი პირობას, რომ კარგი მოქმედებით, დისციპლინითა და ტექნიკის თვისებით ჩემი საყვარელი ქარხნის კოლექტივს გავახარებ. შინიდან მაცნობეს, რომ ჩვენი ქარხნის ორი ახალგაზრდა დაქორწინებულა, გთხოვთ მიულოცოთ. ვუსურვებ ბედნიერებასა და სახარულს, ცოტა ადრე რომ მოეფიქრებინათ, კარგი იყო, მეც ავიყვანდი ცოლად. ეგეც მასაც ეშველოსო, იფიქრა და მურთაზი ლიპეცეკში ჩაიყვანა. ოპერაცია და ეუკეთეს, გვერდიდან არ მოცილებია.

შემკეთებელ-ზეინკალი ბუდუ გაბრიაძე შეცდა, დანაშაული ჩაიდინა, ხულიგნობისათვის პატიმრობა მიუსაჯეს. სასჯელმოხდილი ზეინკალი ქარხანაში მიიღეს, გვერდში ამოუდგნენ. ამჟამად ბ. გაბრიაძეს ცოლი შეირთო, ოჯახიც შექმნა. ტრაქტორმშენებელთა მხარდამხარ ნაყოფიერად მუშაობს.

ქარხნის კოლექტივში ბევრი საინტერესო ღონისძიებაც განხორციელდა. მაგალითად, კომკავშირის კომიტეტში (მდივანი ლ. ჯანკალია) მუშისათვის თანრიგის მომატებას სადღესასწაულოდ აღნიშნავენ, ულოცავენ პირველი ხელფასის მიღებას. სისტემატურად ეწყობა ახალგაზრდების შეკრებები, რომლებიც დაუსწრებლად სწავლობენ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, გულდასმით სწავლობენ კოლექტივის წევრთა მოთხოვნებსა და ცხოვრების პირობებს. თერმიული უბნის თერმისტმა გიორგი ნიკარაძემ ქარხნის დირექციაში განცხადება შეიტანა სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ. მას პირადად გაესაუბრა ქარხნის ვეტერანი მუშაი შალვა გურესაშვილი. გამორკვა, რომ უბნის უფროსი ს. ვალიევი არ ზრუნავდა კეთილფიცერი თერმისტის თანრიგის მომატებისათვის. გ. ნიკარაძის მოთხოვნა ყურად იღეს, ახლა იგი ერთ-ერთი მოწინავე ტრაქტორმშენებელია.

ახალგაზრდა ხარატი გიორგი გიორგაძე ვეტერანი მუშის კომუნისტ ბორის ჩუბინიძის არასწორი მოქმედების გამო იძულებული გახდა სამუშაოდან წასვლის განცხადება დაეწერა. პარტბიუროომ (მდივანი ტ. სირაძე) გულდასმით შეისწავლა ეს საკითხი, კომუნისტ ბ. ჩუბინიძის მოქმედება არასწორად მიიჩნია და მას მიუთითა კიდეც.

კოლექტივის ზრუნვა თვითეული მისი წევრისადმი და თვითეული წევრის პასუხისმგებლობა კოლექტივის მთელი საქმიანობისათვის ნათლად ჩანს ციფროვრივ მონაცემებში. მცირეგაბარიანი ტრაქტორების ქარხნის კოლექტივმა ჯერ კიდევ მიმდინარე წლის იანვარში უზრუნველყო მეცხრე ხუთწლედის დავალებათა განაღდება და ახლა იგი მეათე ხუთწლედის ანგარიშში მუშაობს. თუ 1972 წელს უმიზეზოდ გაცდენილი იყო 630 კაცდღე, ხოლო აღრიცხული იყო დაგვიანების 955 შემთხვევა, მომდევნო 1973 წელს ეს რიცხვები შესაბამისად 87 და 216-მდე დავიდა. 1974 წელს უმიზეზოდ გაცდენილია მხოლოდ 75 კაცდღე და რაც მთავარია, კოლექტივის არცერთი წევრი შემჩნეული არ არის საზოგადოებრივი და ყოფაცხოვრებითი წესრიგის დარღვევაში, მინიმუმამდე შემცირდა მუშათა დენდობა, თართო გაქანება მიიღო ე. წ. დამრიგებლურმა მოძრაობამ.

მცირეგაბარტანი ტრაქტორების ქარხნის კოლექტივი საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ქალაქის ქუთაისის მოწინავე საწარმოთა ავანგარდშია, კოლექტივი მზადაა ახალ დავალებათა შესასრულებლად.

დ. ბედენიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

200

მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია — გეგმის ადრე სრულად!

ღღითიდღე ძალას იკრებს მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წელი. დღეს ყველგან, რესპუბლიკის თვითეულ კოლექტივში მაღალი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა სუფევს. ყველაფერი შრომითი გამარჯვებისათვის, ხუთწლედის ძლევამოსილი ფინიშისათვის, — ასეთია საქართველოს მშრომელთა პასუხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაზე პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი.

დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თვითეული კოლექტივის შესაძლებლობების, შიდახარაჯოო რეზერვების ღრმა ანალიზს, სამეურნეო პრაქტიკაში მათს ეფექტიან გამოყენებას. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო კრების მიერ დაყენებული ამოცანის — დამტკიცებული სახელმწიფო გეგმის გადამეტებით 200 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქციის წარმოება აქტივის კრებაზე წერილი ხუროდ ჩვენი რესპუბლიკისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან პრობლემას ეძღვნება.

ამქსრმ ხუთწლედის ბოლო, დამამთავრებელი წლის საგეგმო დავალებანი როგორც მთლიანად ქვეყნის, ისე საქართველოს მასშტაბით ერთობ დაძაბულია. იმისათვის, რომ გავიდეთ ხუთწლედის გათვალისწინებულ მიჯნაზე, როგორც ეს აღინიშნა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, მრეწველობამ 1975 წელს გეგმის ზემით უნდა გამოუშვას 200 მილიონი მანეთის პროდუქცია. დამტკიცებული გეგმის, შემხვედრი გეგმისა და სოციალისტურ ვალდებულებათა ერთობლივი მოცულობით გათვალისწინებული დავალებების შესრულებისათვის. საერთო პროდუქციის სამუალო სადღეღამისო წარმოება უნდა გაიზარდოს შარშან მიღწეული 18,3 მილიონი მანეთიდან 20,2 მილიონ მანეთამდე. მიმდინარე წლის იანვარ-მარტში სამრეწველო პროდუქციის სამუალო სადღეღამისო წარმოებამ 18,1 მილიონ მანეთს მიაღწია, მარტო მარტში კი — 18,9 მილიონს. ამასთან, ცხადია, რომ მოძდევნო თვეებსა და კვარტალებში სადღეღამისო წარმოების მოცულობა თანდათანობით მოიმატებს.

საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით პროდუქციის წარმოების, რეალიზაციისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე გასული წლის პირველ კვარტალში.

დაძაბული გეგმა საწარმოო სიმძლავრეთა სრულად გამოყენებისათვის ნაკარაუდევი დავალებაა. მისი მიღებისა და წარმატებით შესრულების საწინდარია წარმოებისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, შიგარეზერვების გამოყენების მორალური და მატერიალური სტიმულირება იმგვარად, რაც სასარგებლო და ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. ასევე სასარგებლო და ხელსაყრელი იყოს ცალკე საწარმოო კოლექტივებისათვის, ყოველი მუშაკისათვის.

სოციალისტური შეჯიბრება და მისი მაღალი ფორმა — შემხვედრი გეგმა დაძაბულ საწარმოო დავალებათა მიღების ბერკეტია.

შემხვედრი! ამ სიტყვამ, რომელიც ჩვენთვის ცნობილია ჯერ კიდევ პირველი ხუთწლედიდან, ჩვენს დროში ახალი ეკურადღება მიიღო.

შემხვედრი გეგმის შედგენის ინიციატორებად ჩვენს ქვეყანაში პირველად 1930 წელს დამოვიდნენ ლენინგრადის კარლ მარქსის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მშრომელები. ეს თაოსნობა ელვისებური სისწრაფით გავრცელდა მთელს ქვეყანაში. საქართველოში ამ მოძრაობას პირველნი ობილისის სტალინის სახელობის ორთქმოსავლელგაენმშემეფეული ქარხნის მუშაები გაოგოსნარნენ. აი, რას ეკითხულობთ ქარხნის პირველი ხუთწლედის დამამთავრებელი წლის შემხვედრ გეგმაში „... მიმდინარე წელს ქარხანას გეგმით მოცემული აქვს, შესაკეთებლად 342 ორთქმოსავალი. საწარმოო გეგმა დამუშავებულ იქნა რგოლებში, ბრიგადებში და საწარმოო თათბირებზე. საამქროს მუშებმა შემხვედრით წამოაყენეს 7 ორთქმოსავალი ზედმეტად. ამრიგად, ქარხანა ხუთწლედის უკანასკნელ წელში მისცემს ტრანსპორტს 349 ორთქმოსავალს“.

ამჟამად შემხვედრი გეგმა მოასწავებს მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივით გამოვლინებული რეზერვების ამოქმედებას დამატებითი დავალების დამტკიცებით — მას შემდეგ რაც წლიური გეგმა მიღებულია. მასების თვითკრიტიკის ეს ფორმა სოციალისტურ ვალდებულებათან ერთად წარმოადგენს საბჭოთა კავშირში ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმების დროულად და გადაჭარბებით შესრულების საწინდარს.

რა სიახლე შეაქვს შემხვედრ გეგმას კოლექტივის ჩვეულებრივ ვალდებულებებთან შედარებით? ამჟამად უკვე აჯგუფებენ ამ განმასხვავებელ ნიშან-თვისებებს. ჯერ ერთი, შემხვედრი გეგმა მოიცავს, როგორც თავდაპირველი გეგმით განმსაზღვრელ დავალებას, ისე კოლექტივის ვალდებულებათა იმ ნაწილს, რომელიც დაამტკიცა ზემდგომმა ორგანომ. ამით კი სახელმწიფო გეგმის თანაბრად ძლიერდება პასუხისმგებლობა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. მეორე, ყველა მაჩვენებელი, რომელიც კი შემხვედრ გეგმაში შეიტანება, ეკონომიურად საბუთდება, უზრუნველყოფილია აუცილებელი რესურსებით, უწინარეს ყოვლისა საწარმოო მიდარეკსურსების ხარჯზე. მესამე, საწარმოს შემხვედრ გეგმას იხილავენ და იწონებენ ზემდგომი სამეურნეო ორგანოები. საწარმოს კოლექტივის წინადადება შემოწმებას გადის სახელმწიფო ინტერესების თვალსაზრისით. მეოთხე, შემხვედრი გეგმის შესრულებაზე სისტემატურ კონტროლს აწესებენ, როგორც ზემდგომი სამეურნეო ორგანები, ისე სახელმწიფო სტატისტიკის ორგანო. მეხუთე, იმ ვალდებულებებისათვის, რომლებიც შეტანილია შემხვედრ გეგმაში, დაწესებულია მატერიალური წახალისების უფრო ქმედითი სისტემა.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ხუთწლედის პირველი ორი წლის მანძილზე დაშვებული ჩამორჩენის დაძლევისათვის, მეცხრე ხუთწლიანი გეგმის უთუოდ შესრულებისათვის შემხვედრი გეგმების, სოციალისტური ვალდებულებების აღებასა და შესრულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ, თუმცა 1975 წლის საწარმოო-სამეურნეო გეგმები მეტად დაძაბულია, ისინი დღეს მაინც უნდა განვიხილოთ როგორც მინიმალური. რესპუბლიკის მშრომელებმა იციან, რომ დამატებითი გეგმა დამატებით შრომასთან, დამატებით სიძნელეებთან არის დაკავშირებული, მაგრამ ისინი მაინც ნებაყოფლობით მიდიან ამ გზით, მიდიან იმ მაღალი რწმენით, რომ არ შეიძლება ჩრდილი მიადგეს ოთხგზის ორდენოსან საბჭოთა საქართველოს, რომ მეცხრე ხუთწლედიც, ისე როგორც მისი წინამორბედები, რესპუბლიკის შრომითი გამარჯვების ხუთწლედად უნდა იქცეს.

რესპუბლიკის აქტივის კრების შემდეგ საწარმოო კოლექტივებმა კიდევ ერთხელ გადასინჯეს წარმოების ზრდისა და ხარისხობრივი სრულყოფის დავალებები. ბათუმელმა მშრომელებმა იკისრეს ხუთწლედის დამამთავრებელ წელს გეგმის ჯადამეტებით გამოუშვან 10 მილიონი მანეთის პროდუქცია, ნაცვლად ადრე გათვალისწინებული 4,7 მილიონი მანეთისა. ბათუმის მშრომელებმა მიმართეს საქართველოს ყველა ქალაქისა და რაიონის მშრომელებს გადასინჯონ ადრე ნაკისრი შემხვედრი გეგმები და სოციალისტური ვალდებულებები და რესპუბლიკის ეკონომიკაში მათი ხვედრითი წონის გათვალისწინებით იკისრონ ახალი ვალდებულებები, კვეთილსინდისიერი შემოქმედებითი შრომით უზრუნველყონ ამ ვალდებულებათა უთუო შესრულება. ამ მიმართვას უკვე გამოეხმაურნენ თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, ფოთის, ჭიათურის, ზუგდიდის, ტყიბულის, ამბროლაურის და სხვა ქალაქების მშრომელები. მათ შორის არის თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანაც. საწარმო, რომელმაც ჯერ კიდევ პირველი ხუთწლედის დამამთავრებელ წელს მეამუშავა შემხვედრი გეგმა.

იმისათვის, რომ ხუთწლედის ამ ბოლო წელს გეგმის გადამეტებით 200 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია გაწარმოოთ, ჩვენს რესპუბლიკას ბევრი შესაძლებლობა აქვს. უწინარეს ყოვლისა, ეს შესაძლებლობა უკეთ მუშაობაში, მეურნეობის უკეთ ხელმძღვანელობაში უნდა ვეძიოთ, ამ შესაძლებლობათა რეალიზაციისათვის საჭიროა თვითეული მუშაკის პირად მოთხოვნილებად იქცეს ბრძოლა ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

როგორც წესი, შემხვედრი გეგმისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულება უნდა განხორციელდეს ადგილობრივი, შინაგანი რესურსების გამოვლინებისა და გამოყენების საფუძველზე.

მაგრამ ხუთწლედს უკვე ამჟამად უწოდებენ ხარისხის ხუთწლედს. ეფექტიანობის, ხალხის კეთილდღეობის ამაღლების ხუთწლედს. ამიტომ მიმდინარე ხუთწლედის დამამთავრებელ წელსაც შემხვედრი გეგმა, სოციალისტური ვალდებულება არ უნდა გამოიხატოს მარტოოდენ პროდუქციის რაოდენობაზე. მათში ყოველთვის უნდა იგულისხმებოდეს ნაკეთობათა ტექნიკური დონე, მაღალი ხარისხი, მომხმარებლის გაზრდილი გემოვნების დაკმაყოფილება.

სათანადო მონაცემები ადასტურებენ, რომ რესპუბლიკაში არის წარმოების ინტენსივიფიკაციის გზით ეკონომიკის ზრდიდ დაჩქარების მიტად მნიშვნელოვანი რეზერვები და შესაძლებლობანი. ეს შეეხება, როგორც შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარებას და პროდუქციის ნამატის უდიდესი ნაწილის მიღებას მუშაკთა რიცხვის გაუდიდებლად, ისე განსაკუთრებით საწარმოო სიმძლავრეების, ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების გაუმჯობესებას, ფონდამოგების განუხრელ ზრდას. ტექნიკისადმი, თვითეული ჩარხისადმი, მანქანისადმი მზრუნველი დამოკიდებულება უდიდეს ეკონომიურ ეფექტს იძლევა. ამჟამად სამრეწველო-საწარმოო ფონდების მოცულობა, რომელიც რესპუბლიკის უმთავრეს საწარმოო პოტენციალს წარმოადგენს — 3,5 მილიარდ მანეთს უტოლდება. ეს უდიდესი სიმდიდრეა, რომლის გონივრულ, მაღალეფექტიან გამოყენებაზე დიდად არის დამოკიდებული დამამთავრებელი წლის დაძაბული პროგრამის შესრულება. საკმარისია ითქვას, რომ რესპუბლიკის მრეწველობაში ფონდამოგების მხოლოდ ერთი პროცენტით ამაღლება, დამატებით კაპიტალური დაბანდებების გარეშე, იძლევა დაახლოებით 50 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქციის გამოშვების შესაძლებლობას,

ცოცხალი შრომის გამოყენების ეფექტიანობასთან დაკავშირებულ რეზერვებზე კი მეტყველებს ის, რომ რესპუბლიკის მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების მხოლოდ ერთი პროცენტით ზრდა საშუალებას მოგვცემს სამრეწველო-საწარმოო პერსონალის გაუდიდებლად დამატებით გამოუშვათ 53 მილიონ მანეთზე მეტი პროდუქცია. აქვე უნდა ითქვას, ისიც, რომ ჩვენ გვაქვს შრომის ნაყოფიერების ზრდის მრავალი გამოუყენებელი რეზერვი, რაც, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარებით, ცალკეული ბრიგადის საწარმოო აპარატის განახლების და სრულყოფის, ინტენსიფიკაციის, აგრეთვე წარმოების კონცენტრაციის, სპეციალიზაციის, კოოპერირებისა და კომბინირების სრულყოფით.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი მკაცრად კიცხავდა იმ უნიათო სამეურნეო მუშაკებს რომლებიც არ ზრუნავენ იმაზე, რომ დაზოგონ კაბიკი, რომელიც მათ აქვთ მიცემული და არ ცდილობენ იგი 2 კაბიკად აქცინონ. მეცხრე ხუთწლედის ფინიშზე აუცილებელია მომჭირნეობის რეჟიმზე იყოს დამყარებული თვითეული საწარმოს, თვითეული ორგანიზაციის საქმიანობა.

სკკპ XXIV ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა იმის საჭიროება, რომ „უფრო სრულად უნდა ვიყენებდეთ მატერიალურ და მორალურ სტიმულებს წარმოების განვითარებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, ხარისხის გაუმჯობესებისათვის, უკეთ უნდა ვიყენებდეთ ეკონომიურ ბერკეტებს რეზერვების უფრო სრული მობილიზაციისათვის...“

შემხვედრი გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულება, როგორც ცნობილია, მოასწავებს დამატებითი პროდუქციის გამოშვებას, დამატებითი დოვლათის შექმნას. ეს დოვლათი ან წარმოების საშუალებათა სახით არსებობს ან მოხმარების საგნების სახით. პირველი გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოებისათვის მოიხმარება, მეორენი კი მშრომელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის. დასასრულ, შემხვედრი გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების წესით პროდუქციის გამოშვებასთან ერთად წარმოიქმნება დამატებითი მოგება, რომელიც გარკვეული წესით ნაწილდება საწარმოსა (გაერთიანებასა) და სახელმწიფო ბიუჯეტს შორის. როგორც საწარმოო, ისე სახელმწიფო ბიუჯეტი ამ თანხების მნიშვნელოვან ნაწილს ხარჯავს სოციალურ-კულტურული დანიშნულებისათვის — საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საბავშვო ბაღების, კულტურის ჯერების, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა დამატებით მშენებლობისა და შენახვისათვის.

შემხვედრი გეგმების აღებასთან დაკავშირებით უკანასკნელ ხანს რამ-

დიდ მიზანს — დიდი ენერგია

დამატებითი 200 მილიონი: ფყარო, მნიშვნელობა, სიკეთე

ოდენ ჯერ კიდევ პირველი ხუთწლედის დამამთავრებელ წელს მეამუშავა შემხვედრი გეგმა.

იმისათვის, რომ ხუთწლედის ამ ბოლო წელს გეგმის გადამეტებით 200 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია გაწარმოოთ, ჩვენს რესპუბლიკას ბევრი შესაძლებლობა აქვს. უწინარეს ყოვლისა, ეს შესაძლებლობა უკეთ მუშაობაში, მეურნეობის უკეთ ხელმძღვანელობაში უნდა ვეძიოთ, ამ შესაძლებლობათა რეალიზაციისათვის საჭიროა თვითეული მუშაკის პირად მოთხოვნილებად იქცეს ბრძოლა ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

როგორც წესი, შემხვედრი გეგმისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულება უნდა განხორციელდეს ადგილობრივი, შინაგანი რესურსების გამოვლინებისა და გამოყენების საფუძველზე.

მაგრამ ხუთწლედს უკვე ამჟამად უწოდებენ ხარისხის ხუთწლედს. ეფექტიანობის, ხალხის კეთილდღეობის ამაღლების ხუთწლედს. ამიტომ მიმდინარე ხუთწლედის დამამთავრებელ წელსაც შემხვედრი გეგმა, სოციალისტური ვალდებულება არ უნდა გამოიხატოს მარტოოდენ პროდუქციის რაოდენობაზე. მათში ყოველთვის უნდა იგულისხმებოდეს ნაკეთობათა ტექნიკური დონე, მაღალი ხარისხი, მომხმარებლის გაზრდილი გემოვნების დაკმაყოფილება.

სათანადო მონაცემები ადასტურებენ, რომ რესპუბლიკაში არის წარმოების ინტენსივიფიკაციის გზით ეკონომიკის ზრდიდ დაჩქარების მეტად მნიშვნელოვანი რეზერვები და შესაძლებლობანი. ეს შეეხება, როგორც შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარებას და პროდუქციის ნამატის უდიდესი ნაწილის მიღებას მუშაკთა რიცხვის გაუდიდებლად, ისე განსაკუთრებით საწარმოო სიმძლავრეების, ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების გაუმჯობესებას, ფონდამოგების განუხრელ ზრდას. ტექნიკისადმი, თვითეული ჩარხისადმი, მანქანისადმი მზრუნველი დამოკიდებულება უდიდეს ეკონომიურ ეფექტს იძლევა. ამჟამად სამრეწველო-საწარმოო ფონდების მოცულობა, რომელიც რესპუბლიკის უმთავრეს საწარმოო პოტენციალს წარმოადგენს — 3,5 მილიარდ მანეთს უტოლდება. ეს უდიდესი სიმდიდრეა, რომლის გონივრულ, მაღალეფექტიან გამოყენებაზე დიდად არის დამოკიდებული დამამთავრებელი წლის დაძაბული პროგრამის შესრულება. საკმარისია ითქვას, რომ რესპუბლიკის მრეწველობაში ფონდამოგების მხოლოდ ერთი პროცენტით ამაღლება, დამატებით კაპიტალური დაბანდებების გარეშე, იძლევა დაახლოებით 50 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქციის გამოშვების შესაძლებლობას,

ცოცხალი შრომის გამოყენების ეფექტიანობასთან დაკავშირებულ რეზერვებზე კი მეტყველებს ის, რომ რესპუბლიკის მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების მხოლოდ ერთი პროცენტით ზრდა საშუალებას მოგვცემს სამრეწველო-საწარმოო პერსონალის გაუდიდებლად დამატებით გამოუშვათ 53 მილიონ მანეთზე მეტი პროდუქცია. აქვე უნდა ითქვას, ისიც, რომ ჩვენ გვაქვს შრომის ნაყოფიერების ზრდის მრავალი გამოუყენებელი რეზერვი, რაც, ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებისა და ეკონომიური ბერკეტების დანერგვას. ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი.

ის ფაქტი, რომ შარშან ფაბრიკას არც ერთი რეკლამაცია არ მიუღია, მეევრმეტეულლურად მოწმობს მუშაობის მაღალ ხარისხს.

წლეულს საწარმო აითვისებს 8 ახალი სახეობის პროდუქციის გამოშვებას.

• • •

სურათზე: მოწინავე მეგანძანე კომკავშირელი ელისო ნასარიძე, რომელიც ცვლის დავალებებს 110-115 პროცენტით ასრულებს.

ფ. ფერსამიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ზეგეგმითი პროდუქცია

125 დასახელების ნაწარმს უშვებს „ქუთაისის საკონდიტრო ფაბრიკა. ამ პროდუქციიდან ბევრს ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც გზავნიან. ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ორ თვეში საწარმომ გაანაღდა 80 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

ფაბრიკაში დიდი ყურადღება ეთმობა ახალი ტექნიკის დანერგვას. ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, ფასდაკლებულ ნაწარმს „ქუთაისის ბისკვიტი“ ამოუკეთებენ ბავშვებს. ამ ფაბრიკის ნაწარმს ეგზავნებიან ბავშვთა ბაღები, ბავშვთა ბანკოვანი, ბავშვთა ბანკოვანი, ბავშვთა ბანკოვანი

მსოფლიო დღეს

არ დავუშვებთ ქალმომრეობას!

შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის კომუნიკე

ლისაბონი, 14 აპრილი. (საკ. სახ.). ეროვნულმა რადიომ გადასცა პორტუგალიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის კომუნიკე, რომელშიც ხაზგასმულია, თუ რა „განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახლანდელ საარჩევნო კამპანიას ქვეყნის რევოლუციური პროცესის შემდგომი განვითარებისათვის". ამ პროცესს უზრუნველყოფის მიზნით ნაოქვამია კომუნიკეში, შეიარაღებული ძალების მოძრაობა, რევოლუციური საბჭო მოუწოდებენ პორტუგალიელებს შეინარჩუნონ დემოკრატიული წესრიგი საარჩევნო კამპანიის და თვით არჩევნების დროს. თავის მხრივ, რევოლუციური საბჭო ყოველ ღონეს იხმარს, რომ არ დაუშვას ძალმომრეობის აქტები და წამქეზებლური ბანსახდომები ამ პერიოდში.

წესრიგის უზრუნველყოფა საარჩევნო კამპანიის დროს და არჩევნების დღეს პორტუგალიელი ხალხის კონსტრუქციული წვლილი იქნება ქვეყნის შემდგომ მშვიდობიან პოლიტიკურ, ეკონომიურ და სოციალურ განვითარებაში, აღნიშნულია კომუნიკეში.

სერიოზული დაბრკოლება განთავისუფლების გზაზე

ნიუ-იორკი, 14 აპრილი. (საკ. სახ.). იმპერიალისტურ მონოპოლიათა ანტიხალხური საქმიანობა კოლონიებში და ტერიტორიებზე, სადაც მართავენ რასისტები, ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლებაა კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაციის სრული განხორციელების გზაზე. ასეთი დასკვნა გამოიტანეს აქ გამართული 24 ქვეყნის კომიტეტის სესიის მონაწილეებმა, რომელშიც დაამთავრა ზოგადი კამათი მონოპოლიების საკითხზე.

საბჭოთა კავშირის, სირიის, სიერა ლეონეს, კონგოს, მალისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა სასტიკად გააკრიტიკეს მონოპოლიათა საქმიანობა. მათ მოიყვანეს უცილობელი დოკუმენტური მტკიცებულებანი და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ეგრეთ წოდებული მრავალეროვანი კორპორაციები საბოტაჟს უწევენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებებს დეკოლონიზაციის დარგში, უგულებელყოფენ სახელმწიფოთა ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და ეკონომიური დამოუკიდებლობის განუყოფელ სუვერენულ უფლებას, ნაციონალიზაციის უფლებას.

კომიტეტში გამართული განხილვა საფუძველად დაედება ყოლონიურ ქვეყნებში და ტერიტორიებზე მონოპოლიათა საქმიანობის შესახებ ძირითად. მოხსენებას, რომელსაც წარადგენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 30-ე სესიაზე.

ნიუ-იორკი

გააკრიტიკეს მონოპოლიათა საქმიანობა

ლისაბონი

რევოლუციური საბჭო მოქმედებს

რომი

იტალიელი კომუნისტები არჩევნების წინ

გადატრიალება ჩადში

იაუნდე, 14 აპრილი. (საკ. სახ.). ბადის რადიო იუწყება, რომ ქვეყნას ქვეყანაში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, რომლის შედეგად მოკლეს პრეზიდენტი ნ. ტომბალბაი და ძალაუფლება გადავიდა სამხედრო პირთა ხელში.

არმიის შტაბის უფროსმა, ბრიგადის გენერალმა ნ. ოდინგარმა, რომელიც მეთაურობდა გადატრიალებას, რადიოთი მოსახლეობისადმი მიმართვაში განაცხადა, რომ არმიამ გადაწყვიტა ხელში აიღოს ძალაუფლება, რათა „შეასრულოს თავისი მოვალეობა ერის წინაშე". მან გამოაცხადა, რომ კონსტიტუციის მოქმედება შეჩერებულია, საპარლამენტო და პოლიტიკური საქმიანობა აკრძალულია. ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გამოცხადებულია კომენდანტის საათი, ჩადის დედაქალაქის ნჯამენის საერთაშორისო აეროპორტი დახურულია.

მოგვიანებით რადიომ დედაქალაქში დაბინავებულ საფრანგეთის ჯარის ნაწილებს მიმართა თხოვნით არ ჩაერიონ მიმდინარე ამბებში. საფრანგეთის ჯარები ჩადში გაიგზავნა პრეზიდენტ ტომბალბაის თხოვნით 1968 წელს, რათა ჩადში მთავრობის საწინააღმდეგო შეიარაღებული გამოსვლები ქვეყნის ჩრდილოეთში, სადაც მომთაბარე მაჰმადიანები ცხოვრობენ.

ნჯამენიდან მიღებული ცნობების თანახმად, ამჟამად ჩადის დედაქალაქში აღდგენილია სიმშვიდე. არმია სავსებით უწევს კონტროლს მდგომარეობას.

ამერიკელ სენატორი ოკლაჰომელი

ერედ ჰარისი, რომელიც წარსულ არჩევნებში მონაწილეობდა პრეზიდენტის პოსტისათვის ბრძოლაში, ამას წინათ საცხოვრებლად გადავიდა ჩრდილო-აღმოსავლეთ შტატში ნიუ-ჰემპშირში. იქ იგი იქმნის პოლიტიკურ ბაზას, სწორად წარმოთქვამს სიტყვას და არ მალავს, რომ განწრახული აქვს მიაღწიოს თავისი კანდიდატურის დასახელებას პრეზიდენტის პოსტზე დემოკრატიული პარტიისაგან. სამი წლის წინათ უკვე არჩევლადი არჩევნების პირველი რაუნდების შემდეგ ფ. ჰარისმა მარცხი განიცადა და გამოეთიმა თვთრ სახლში ხელისუფლებისათვის ბრძოლას.

პატარა შტატ ნიუ-ჰემპშირიდან წელიწადზე ნაკლები ხნის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყება პირველადი არჩევნების სეზონი. ამ არჩევნების მსვლელობაში, რომელიც რამდენიმე შტატში ეწყობა, უთდა გამოავლინონ ყველაზე ძლიერდაწეული კანდიდატები ორი ძირითადი პარტიისაგან — დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიებისაგან, რომლებიც პრეზიდენტის საკანონმდებლო ხელისუფლებისათვის იბრძვიან. პირველადი არჩევნები ამომრჩეველთა განწყობილების ბარომეტრია. მისი შედეგების გათვალისწინებით ორივე პარტია სამოთხოდ დამტკიცებენ თავის კანდიდატებს პრეზიდენტის პოსტზე. თვით პრეზიდენტის არჩევნები გაიმართება 1976 წლის შემოდგომაზე.

თუმცა ამ არჩევნებამდე ჯერ კიდევ ითვლება წელიწადსაზევრია, შეიერებული შტატებში უკვე ჩადგმა წინასაარჩევნო კამპანია. ფაქტიურად ეი დაიწყო კონგრესის ეგრეთწოდებული შუალედური არჩევნების მოწყობისთანავე, რომელიც გაიმართა ბალი წლის შემოდგომაზე, როცა ამერიკელებმა შეიცვალა პოლიტიკური ხელმძღვანელობა. მაშინ სენიორული გამარჯვება მოიპოვეს დემოკრატებმა, რომლებმაც ადგილების ერავლესობა მიიღეს კონგრესის ორივე პალატაში, ამასთან წარმოშადგენელთა პალატაში მათ მანდატების ორი მესამედიც კი მოიპოვეს. სწორედ მაშინ დემოკრატთა ბანაკს ეკვა დაებადა იმედი, რომ დაიბრუნებდა პრეზიდენტის ხელისუფლებას.

ამ წარმატებით თავბრუდახვეულ დემოკრატებს თითქოს დაავიწყდათ ეს ფაქტი, რომ უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში მათ მხოლოდ ერთხელ დაუთმეს რესპუბლიკელებს ადგილი ბინადრობისა კონგრესში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რესპუბლიკურმა პარტიამ ბრძოლა ვერ მიაღწია გამარჯვებას პრეზიდენტის არჩევნებში.

არჩევნებში პარტიების შანსების შეფასებისას არ შეიძლება დავიწყოთ აგრეთვე ის, რომ დემოკრატების ბანაკში დღემდე არ არის დაძლეული გათიშვა.

პარტია გათიშულია რამდენიმე ერთმანეთის მეტოქე ბანაკად. ესენი არიან „ლიბერალები", „კონსერვატორები", „ზომიერნი", „სამხრეთელები და ჩრდილოელები."

ეს უკვე ახლა პოულობს გამოხატულებას პარტიის ლიდერების მოქმედებაში. ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, სანამ ოფიციალურად დაიწყებოდა წინასაარჩევნო კამპანია, მთელმა რიგმა თვალსაჩინო დემოკრატმა მოღვაწემმა განაცხადეს, რომ დასახელებენ თავიანთ კანდიდატურას პრეზიდენტის პოსტზე. მათ შორის არიან სენატორები გ. ჯექსონი, ლ. ბენტსენი, წარმომადგენელთა პალატის წევრი მ. უდოლი, ყოფილი სენატორი ფ. ჰარისი, ჯორჯიის ყოფილი გუბერნატორი ჯ. კარტერი. შესაფერ მომენტს ელიან აგრეთვე ისეთი ცნობილი დემოკრატები, როგორიც არიან ბ. ბაი და ფ. ჩერჩი. არ არის გამორიცული, რომ კელავ მოსინჯავენ თავიანთი ძალებს პარტიის ვეტერანები გ. ჰემფრი და ე. მასკი. წინა საარჩევნო ბრძოლაში ჩარევის განზრახვა გამოთქვა აგრეთვე იუჯინ მაკართიმ, რომელიც პოპულარული ფიგურა გახდა დემოკრატებს შორის 1968 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დროს. ყველაფრიდან ჩანს, რომ არჩევნებისათვის ემზადება აგრეთვე ალაბამის საკმაოდ ცნობილი გუბერნატორი ჯ. უოლესი.

ამოგიდან, დემოკრატიული პარტიისაგან შესაძლო კანდიდატების სია უკვე ახლა ძალიან გრძელია, და ეს მეტოქეობა შინაპარტიული ბრძოლისა მომასწავებელია. როგორც პრესა და საზოგადოებრიობის გამოკითხვა მოწმობს, ხსენებული პოლიტიკური მოღვაწეებიდან ჯერჯერობით არც ერთი არ იწვევს განსაკუთრებულ ენთუზიაზმს რიგითს დემოკრატებში, რომ აღარაფერი ვთქვათ ამომრჩეველთა ფართო მასაზე. ამერიკელ პოლიტიკურ მეთვალყურეთა უმრავლესობას გარემოებაში არ ვიქნება პრეზიდენტობის კანდიდატი. კენედი სახელს დღემდე დიდი მიმზიდველი ძალა აქვს ამერიკელებში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, აგრეთვე ერთვნულ უმცირესობათა შორის. ამიტომ ბევრი დემოკრატი მოღვაწე მოუწოდებს ე. კენედის პირად ინტერესებზე მაღლა დაყენოს პარტიის ინტერესები. სხვათა შორის, ახლა პოლიტიკურ მიმომხილველთაგან ვერავინ ვერ ბედავს იწინასწარმეტყველოს, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს სენატორი.

რიული ვითარება იქმნება რესპუბლიკელთა ბანაკიდან. პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა გამოაცხადა, რომ აპირებს თავისი კანდიდატურა დასახელოს თვთრ სახლის უმაღლეს პოსტზე 1976 წლის არჩევნებში. ამავე დროს მან განაცხადა, რომ ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე კენჭს იყრის ნ. როკფელერი. უკანასკნელ ხანს ჯ. ფორდი ბევრს მოგზაურობს ქვეყანაში, და მის გამოსვლებს უმეტეს შემთხვევაში აშკარად საარჩევნო ხასიათი აქვს. ეს არც არის შემთხვევითი. მას განუწყვეტლივ აკრიტიკებენ არა მარტო დემოკრატები, არამედ საკუთარი პარტიის მოღვაწეთა მთელი ჯგუფიც. განსაკუთრებით მელიც ცნობილია თავისი რეაქციული შეხედულებებით. თვითონ რ. რეიგანიც მაინცდამაინც არ მალავს თავის განზრახვას ერთწლიან კიდევ ცადოს პრეზიდენტად გახდომა. მან უკვე სცადა თავისი კანდიდატურის დასახელება 1968 წლის საარჩევნო კამპანიის დროს, მაგრამ დამარცხდა. რესპუბლიკური პარტიის მემარჯვენე ფრთის მიზნებს ადასტურებს ყოფილი გუბერნატორის პროგრამა. საგარეო პოლიტიკის დარგში, აცხადებს იგი, შეერთებულმა შტატებმა „ძლევამოსილი ძალები უნდა შექმნას კომუნისტური მტრის წინააღმდეგ". ეს ნიშნავს, რომ კონსერვატორ რესპუბლიკელები, რომლებიც მთავრობის ახლანდელი საგარეო-პოლიტიკური კურსის წინააღმდეგი არიან, აპირებენ დაუბრუნდნენ ძველ, მარცხით დამთავრებულ პოლიტიკას — კონფრონტაციისა და „ცივი ომის" პოლიტიკას.

პრეზიდენტ ჯ. ფორდს აუწყებს უწინარეს ყოვლისა ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა, რომელიც სულ უფრო უარესდება. მას ესმის, რომ ეკონომიური პრობლემები შეიძლება ძირითადი გახდეს ამომრჩეველებისათვის არჩევნების წელს, რადგან სამრეწველო წარმოების დაქვეითება, ინფლაციის ზრდა და უმუშევრობა სულ უფრო აძლიერებენ უბრალო ამერიკელების უკმაყოფილებას. მთავრობის ცდა შეაჩეროს ეს პროცესები, ამაოა. ინფლაციის ზრდის ტემპმა მიაღწია წელიწადში 12,5 პროცენტს, უმუშევართა რიცხვმა მიმდინარე წლის მარტში შეადგინა 8 მილიონი კაცი. მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია უზარმაზარი დეფიციტი, რომელშაც შეიძლება 60 მილიარდ დოლარს მიაღწიოს. ასეთი სიძნელეები ამერიკის შეერთებულ შტატებს არ ჰქონია მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ. უმუშევრობისა და ფასების ზრდის პრობლემები საშიში კანდიდატისა ფაქტორი ხდება რესპუბლიკური პარტიისათვის. ამ სიძნელეთა გადასალახავად კი რეალური რეცეპტები რესპუბლიკურ ადმინისტრაციას არ ფლობენ, თუმცა, არც დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობას გაუკეთებია ეს. დემოკრატები თავიანთ მთავარ მეცადინეობას ახმარენ რესპუბლიკური ხელმძღვანელობის კრიტიკას, რომელიც როგორც ისინი აცხადებენ, პასუხს აგებს ქვეყნის მთელი ეკონომიური სიძნელეებისათვის.

ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, იზრდება ბევრი ამერიკელის უკმაყოფილება, უნდობლობა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი, ორივე პარტიის პოლიტიკური მოღვაწეებისა და მათი წინასაარჩევნო დაპირებებისადმი. ეს აღიარა თვით პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა ერთ-ერთ თავის ბოლო გამოსვლებში. რესპუბლიკური პარტიის ეროვნული პოლიტიკის ხელმძღვანელობის წინაშე გამოსვლისას მან თქვა: „ადამიანები კელავ სკეპტიკურად ეკიდებიან პოლიტიკურ პარტიებსა და პოლიტიკურ საქმიანობას". ამასთან პრეზიდენტმა დაიმოწმა ამომრჩეველთა პასიურობა კონგრესის შარშანდელი შუალედური არჩევნების დროს. მაშინ არჩევნებზე გამოცხადდა ამომრჩეველთა მხოლოდ 44 პროცენტი. ამერიკელთა მესამედმა, რომელთაც ხმის უფლება ჰქონდათ, საერთოდ უარი თქვა ამომრჩეველთა სიებში რეგისტრაციაში გატარებაზე. 18-დან 20 წლამდე ასაკის ახალგაზრდა ამერიკელებმა არსებითად ბოიკოტი გამოუცხადეს ამ არჩევნებს. ასეთ ამომრჩეველთა მხოლოდ 21 პროცენტი გამოცხადდა საარჩევნო უბნებში.

ეს ოფიციალური მონაცემებია. ისინი მჭევრმეტყველურად გამოსატავენ ნიგიანი ამერიკელების განწყობილებას. ეს განწყობილება არ იცვლება ახლაც, რადგან უკეთესობისაკენ ცვლილებანი არ ხდება.

ო. ანიჩკინი
(საკ. სახ.).

„ქორების" საშიში გეგმები

სამხრეთ ვიეტნამში სამართლიანობა იმარჯვებს. ხდება ის, რაც უნდა მომხდარიყო. განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მძლავრი კონტრდარტყმების შედეგად, რომელსაც მხარს უჭერს საძხრეთ ვიეტნამის მოსახლეობა, საიგონის ჯარები ზედიზედ ტოვებენ პროვინციებს. ამასობაში საიგონში, რომელიც აღაყაშმორტყმულ ციხე-სიმაგრესა ჰგავს, ძალზე გაიწყვიტა შინაპოლიტიკური ბრძოლა, ხოლო თხიეუს ზოგიერთი დამქაში, რომლებიც ამკარად გასაჭცევად ემზადებიან, უკვე კაპიტალს გაზავნის სინგაპურისა და ჰონკონგის ბანკებში.

როგორც ჩანს, უკანასკნელ დღეებს ითვლის თხიეუს ძირმომპალი მარიონეტული რეჟიმი, რომლის ანტიხალხური პრიმიპერიალისტური პოლიტიკა მთავარი დაბრკოლება იყო ვიეტნამის შესახებ პარიზის შეთანხმების განხორციელების გზაზე.

მოკლენათა ასეთი შემობრუნება, უეჭველია, შეესაბამება სამხრეთ ვიეტნამის მთელი მოსახლეობის ინტერესებსა და მისწრაფებებს, ხელს შეუწყობს ვითარების ნორმალიზაციას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, განმტკიცებს მთელ მსოფლიოში დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის საქმეს. მაგრამ სწორედ ასეთი შემობრუნება აშკარად არ აძლევს ხელს ოკეანესაღმელ „ქორებს", რომლებიც კვლავ „ცივი ომის" კატეგორიებით აზროვნებენ და ჯიუტად არ სურთ აღიარონ, რომ სრულიად გაკოტრდა „მსოფლიო ჟანდარმის" პოლიტიკა, რომლის განხორციელებას ცდილობდნენ და ცდილობენ ინდოჩინეთში ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეები.

ბევრი ამერიკული გაზეთი მართებულად შეახსენებს მკითხველებს ამ დღეებში, რომ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ინტერვენცია ვიეტნამში ამერიკელ ხალხს დაუჯდა 50 ათასზე მეტი ადამიანის სიცოცხლედ და სულ ცოტა 150 მილიარდ დოლარად. მიუხედავად ამისა, როგორც პრესა იტყობინება, ამერიკის შეერთებული შტატების არმიის შტაბის უფროსმა გენერალმა უილანდმა, რომელიც ეს-ეს არის დაბრუნდა საიგონიდან ვაშინგტონში, „ურჩია" მთავრობას, რომ საიგონის რეჟიმს დაუყოვნებლივ გამოუყოს 500 მილიონი დოლარის დამატებითი სამხედრო დახმარება. ამასობაში ამერიკის შეერთებული შტატების მე-7 ფლოტის ხომალდები — ოთხი ვერტმფრინავმზიდი, სამი საესკადრო ნაღმოსანი, ერთი ავიამზიდი და ექვსი სადესანტო გემი — თავს იყრიან სამხრეთ ვიეტნამის ნაპირებთან თითქოსდა სამხრეთ ვიეტნამიდან „ამერიკელი მოქალაქეების შესაძლო გახსნვნის" მიზნით.

ერთი სიტყვით, „ქორებს" აშკარად ჩაფიქრებული აქვთ სამხრეთ ვიეტნამში შეიარაღებული ჩარევის საშიში გეგმები, და ეს თვით ამერიკის ფართო საზოგადოებრიობის გასაგებ შეშფოთებასა და გულისწყრომას იწვევს. (საკდესი).

ტელეტაიპის ლენტიდან...

14 აპრილი

პარიზი. აქ გაიხსნა საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც გახილავს შემდეგ საკითხებს: პოლიტიკური მდგომარეობა და პარტიის ამოცანები (მომხსენებელი — საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრი, საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. პლისონიე).

საერთაშორისო მდგომარეობა და საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა (მომხსენებელი — საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ე. კანაპა).

პრაღა. ჩრდილოეთ ჩეხეთის ოლქის ქალაშვილთა და ჭაბუკთა ჯგუფი ავტომანქანებით გაემგზავრა ექსპედიციაში საბჭოთა კავშირის ქალაქებში, სადაც 1943-1945 წლებში გადიოდა საბრძოლო გზა ჩეხოსლოვაკიის პირველი ხაარმიო კორპუსისა ლ. სვობოდას სარდლობით. ერთ-ერთ ავტომანქანაში მოწყობილია ფოტოგამოფენა. მისი ექსპონატები საბჭოთა ადამიანებს გააცნობენ ჩრდილოეთ ჩეხეთის ოლქის ახალგაზრდობის ცხოვრებასა და შრომას.

ათენი. საბერძნეთში გაძვირდა მეტი წილი გაზეთები. როგორც გაზეთების გამომცემელთა კავშირმა გამოაცხადა, ეს გამოწვეულია ქაღალდის მნიშვნელოვანი გაძვირებით და გამოცემის ხარჯების ზრდით.

ნიუ-იორკი. ჩილეს ეკონომიკის სამინისტროს განკარგულებით 20 პროცენტით გაძვირდა პური და პურ-ფუნთუშეული — ქვეყნის მოსახლეობის ძირითადი საკვები პროდუქტი.

ლა-პასი. ყოველი 1.000 ახალშობილიდან ბოლივიაში 187 ვერ აღწევს სამი წლის ასაკს. ოფიციალური მონაცემებით, ბავშვთა დიდი სიკვდილიანობის მთავარი მიზეზია ქრონიკული შიმშილობა, ელემენტარულად საჭირო სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების უქონლობა.

ბრაზილიის მოსახლეობა

ბრაზილიის გეოგრაფიისა და სტატისტიკის ნაციონალური ინსტიტუტის მონაცემებით მიმდინარე წლის დასაწყისისათვის **ბრაზილიის მოსახლეობამ 105 მილიონი კაცი შეადგინა.** ბრაზილიელთა 56 პროცენტი ქალაქად ცხოვრობს.

ომის ვეტერანის სქბრძოლოგან

ქართველი გუდიერელი

საოცდათხუთმეტ წელს მიტანებული პოდპოლკოვნიკი ნესტორ ჩიბურდანიძე ახლა თადარიგშია. მას ბევრი რამ აქვს ოსაგონარი 1918 წლის ივნისში სოფელ ბაღდათის გლეხთა რევოლუციური გამოსვლებიდან, როცა ოსიფ აფაქიძის პატრიოტულ რაზმში იბრძოდა. მაშინ იგი საბრძოლო ხმლითა და სახელობითი მაუზერით დაჯილდოდეს.

შემდეგ ნესტორი ლენინურმის აჯანყებულ გლეხებს ამოუდგა მხარში, ძაგრამ ძიძიდან დაიჭრა... 1921 წელს აქტიური მონაწილეობა მიიღო ქუთაისიდან მენშევიკთა განდევნის ოპერაციაში.

ყოფილი არმიის რიგებში მოხალისედ რომ შევიდა, ნესტორი ესკადრონს მეთაურობდა ბუდიონის ცხენოსან არმიაში. შორეული აღმოსავლეთი. ნესტორ ჩიბურდანიძის ესკადრონი ებრძვის იაპონელ დამპყრობლებს... გავიდა წლები და გაიმართა ბრძოლები ხასანის ტბასთან. აი ერთ-ერთი მაღლობი, რომელიც მტერს უნდა გამოსჭიოლოს ხელიდან. მტრის ძალები ჭარბია. მაგრამ ნესტორის მებრძოლები ვეფხვებივით ებრძვიან. მათ წინ მიუძღვის ძველი ბუდიონელი. იერიში, შეტევა, საბრძოლო შეძახილები და ძაღლობი აღებულია, მტერი უკუგდებულია. ნესტორის ძაგრდი მთავრობის ჯილდომ დაამშვენა.

თეთრიფილეტებთან ომის დროს საბრძოლო დიდების ფურცლით ივსება მისი ბიოგრაფია. ტამბოვის საკავალერიო სკოლის უფროსად ყოფნისას მან აღზარდა ბევრი მამაცი და ნიჭიერი მეთაური.

ორმოცდაერთი წლის მაისის დღეებია. საკავალერიო სკოლა კურსდამთავრებულთა გამოსაშვებად ემზადება. ნესტორი სახვიმო განწყობილებაზეა... მაგრამ დაიწყო დიდი სამამულო ომი.

მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა საკავალერიო სკოლა, მაგრამ სარდლობის დავალება პირნათლად შეასრულა — ძალიერ დროში საბრძოლოდ აღუჭურვა ესკადრიონები, რომლებიც ომის პირველსავე დღეებში ჩაებნენ სისხლისმღვრელ ბრძოლებში. ნესტორიც მათთან იყო.

ვორონეჟის მიმართულებით ნესტორ ჩიბურდანიძის ცხენოსანმა რაზმებმა ბრძოლებში დაამარცხეს გერმანელთა რჩეული დივიზიის წინააღმდეგ. შემდეგ მტერმა ორი პოლკით შეუტია მის ცხენოსნებს და რკალში მოამწყვდია ისინი. უკვე მაირ ნესტორ ჩიბურდანიძის მებრძოლები სამი დღის განმავლობაში იგერიებდნენ მტრის შემოტევას, მეოთხე ღამეს ცხენოსნებმა ეცადა დარტყმით გაარღვიეს მტრის ალყა და კვლავ შეუერთდნენ საბჭოთა ჯარებს.

მოსკოვისაკენ მოიწევდა გაფოთრებული მტერი. დივიზიონს დავალებული ჰქონდა შეეჩერებინა შეტევაზე გადასული მტრის მოტომსროლელი ლეგიონების წინსვლა. მამაცი მეთაურის ცხენოსნებმა შეასრულეს დასახული ამოცანა. დიდი ხარალი მიაყენეს მტერს და არ გაუშვეს იგი მოსკოვისაკენ მიმავალი გზის დასაკავებლად.

ნესტორ ჩიბურდანიძე თავისი მამაცი მებრძოლებით სტალინგრადშიც იბრძოდა ფაშისტური დაჯგუფების ლიკვიდაციისათვის. სტალინგრადის ეპოპეის შემდეგ დაიწყო ჩვენი არმიის ძლევამოსილი შეტევა მტრის გასახადგურებლად. ძოელ ფრონტზე კვალდაკვალ მისდევდნენ გერმახელ ოყუპანტებს ჩვენი ჯარები. შეტევაზე გადასულმა ნესტორ ჩიბურდანიძის მებრძოლებმა მრავალი ქალაქისა და სოფლის განთავისუფლებაში ისახელეს თავი. თავისუფლდებოდა საბჭოთა უკრაინისა და ბელორუსის მიწა-წყალი. ფრონტის ხაზი შორს მიიწევდა დასავლეთისაკენ. ნესტორ ჩიბურდანიძის მხედრული ოსტატობა განსაკუთრებით გამოჩნდა ბელორუსის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. აქ საბრძოლო ოპერაციის ჩატარებისათვის ნესტორ ჩიბურდანიძე დაჯილდოებულ იქნა სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით.

ახლოვდებოდა დამპყრობთა უფლების განადგურების ჟამი, კორპუსი, რომელშიც მსახურობდა უკვე პოდპოლკოვნიკი ნესტორ ჩიბურდანიძე, პრუსიაში უტიევდა ჰიტლერელებს.

საკუთარ ბუნაგში მტრის განადგურების საქმეში დიდი როლი შეასრულა ნესტორ ჩიბურდანიძის საკავალერიო პოლკმა.

დამთავრდა სამამულო ომი. საბრძოლო ორდენებითა და მედლებით მკერდდაშვენებული პოდპოლკოვნიკი ნესტორ ჩიბურდანიძე, როგორც კაცრის ოფიცერი დიდხანს იყო საბჭოთა არმიის რიგებში, უკანასკნელ ხანებში იგი მოსკოვში ერთ-ერთი სამხედრო ნაწილში მსახურობდა, ამჟამად კი თადარიგშია. 75 წელს მიტანებულს თითქოს არ შემოჭკლებია ახალგაზრდული ენერგია. იგი არის მოსკოვის ომის ვეტერანთა საბჭოს წევრი და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისათვის.

კომუნისტური პარტიის ერთგული შვილი, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანი ნესტორ ჩიბურდანიძე კანონიერი სიამაყის გრძნობით ემზადება ფაშიზმზე დიადი გამარჯვების 30-ე წლისთავის ზეიმისათვის.

თ. ჯაფელი.

მისი სახელობის ქუჩა

საჩხერის რაიონის სოფელ ჩიხის მკვიდრი, გვარდიის პოდპოლკოვნიკი პავლე ძათეს-ძე იაკობაშვილი სამამულო ომის ფრონტზე უგზო-უკვლოდ დაკარგული ეგონათ. მის შესახებ დღესაც არსფერი გვეცოდინებოდა, რომ ძმებს პეტრე და ვლადიმერ იაკობაშვილებს არ მიეგზავნთ კვალისათვის. მათ იპოვნეს გმირულად დაღუპული ძმის საფლავი და ნახეს ადამიანები, რომლებიც პავლესთან ერთად იბრძოდნენ.

უკრაინულ გაზეთებში პავლეს ფრონტელი მეგობრების სტატიებიდან ირკვეოდა, რომ იგი ნამდვილად ყოფილა 54-ე ტრანსილვანიის გამაგრებული რაიონის მე-40 არმიის საინჟინრო სამსახურის შტაბის უფროსის პირველი მოადგილე. მას აქტიური მონაწილეობა მიუღია იასე-კიშინიოვის გრანდიოზულ ოპერაციაში. ამავე გაზეთების ფურცლებზე პავლე მოხსენიებულია, როგორც მამაცი მეომარი, საინჟინრო საქმის კარგი მცოდნე.

პავლე იაკობაშვილის საგმირო საქმეებს ათვლა ჰქონეს სამამულო ომის არქივში თ. გრუზინსკის მიერ ნაოვნი მასალები. ამ ძასალებში შემონახულია მეტად საინტერესო საბუთი, რომელიც 54-ე გამაგრებული რაიონის კომენდანტის გენერალ-მაიორ კარასევის ხელისმოწერით არის დადასტურებული. ეს საბუთი სრულ სურათს გვაძლევს პავლე იაკობაშვილის გმირობისა და სიმამაცისას. საბოლოოდ დადგინდა, რომ პავლე იაკობაშვილი ტრანსილვანიის მთებში ბრძოლის დროს სარდლობას მესანგრეთა ბატალიონის მეთაურად დაუნიშნავს.

ამ დღეებში პოდპოლკოვნიკ პ. იაკობაშვილს ბრძანება ეიღება — გაეწმინდა მტრის თავდაცვითი ხაზებიდან დანაღმული ველი. ამ ძნელი ამოცანის გადასაწყვეტად იგი თვითონ წასულა დანაღმულ ველზე და მთელი ღამის განმავლობაში მოუნერხებია ჩვენი შემტევი ნაწილებისათვის გზა გაეკაფა. მაგრამ დილით ადრე მტერთან შეტაკებისას დაღუპულა. ეს მოხდა 1944 წლის 16 სექტემბერს.

სამშობლოსათვის თავდადებული სახელოვანი თანამემამულის პავლე იაკობაშვილის ნეშტი მხედრული წესით დაუკრძალავთ უკრაინის ქალაქ სტროროჟინეცში. მისი სახელი მიკუთვნებული აქვს ამავე ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას. ქართველი გმირის საფლავს სათუთად უვლიან უკრაინელი თანამემამეები.

შ. ფრანგიშვილი.

სურათზე: პ. იაკობაშვილის საფლავი ქ. სტროროჟინეცში.

მდგომარეობა პნომპენში

ბანგკოკი, 14 აპრილი. (საკდესი). როგორც საინფორმაციო სააგენტოები იტყობინებიან, პნომპენის გარშემო გრძელდება შეუპოვარი ბრძოლები. კამბოჯის ეროვნული განთავისუფლების ძალები რაკეტებისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლს უშენენ პნომპენის რეჟიმის ჯარების პოზიციებს, რომლებიც დედაქალაქს იცავენ.

ამერიკის სამხედრო აღჭურვილობისა და სხვა ტვირთის ჩატანა პნომპენში „საჰაერო ხიდით" შეწყდება, რადგან პოჩენტონგის აეროპორტს განუწყვეტლივ ცეცხლს უშენენ პატრიოტები.

მაშინ, როცა ქალაქის გარშემო გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს, ლონნოლელები სასწრაფოდ ცდილობენ შეაკოწიწონ კიდევ ერთი „მთავრობა" თვით ლონ ნოლის, მერე კი „პრეზიდენტის" მოვალეობის შესრულებლის საუ ქბამ ქნოის გაქცევის შემდეგ. მორიგი მოლაპარაკების შემდეგ პნომპენის რეჟიმის შეიარაღებული ძალების სარდალმა გენერალმა საკ სუტსახანმა და „პრემიერ-მინისტრმა" ლონგ ბორეტმა გამოაცხადეს, რომ შეიქმნა ახალი „მთავრობა", რომელიც ძირითადად სამხედროებისაგან შედგება.

პარიზი. 14 აპრილი. (საკდესი). საფრანგეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება დიპლომატიური ურთიერთობა დაამყაროს კამბოჯის მთავრობასთან, რომელსაც ნოროდომ სიანუ�უ მეთაურობს.

ამასთან დაკავშირებით, აღნიშნულია საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობებში, პნომპენის რეჟიმის წარმომადგენლობა პარიზში დაიხურება.

ე. ბერლინგუერის გამოსვლა

რომი, 14 აპრილი. (საკდესი). იტალიის კომუნისტური პარტიის XIV ყრილობაზე შემუშავებული პოლიტიკური პლატფორმა იტალიელი კომუნისტებისათვის სახელმძღვანელო უნდა იყოს არა მარტო გრძელვადიანი პერსპექტივისათვის, არამედ ქვეყანაში დემოკრატიული გარდაქმნებისათვის ახლანდელ ყოველდღიურ ბრძოლაშიც, განაცხადა იტალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ე. ბერლინგუერმა. მან სუტყვა წარმოთქვა იტალიის კომპარტიის ც

ომის ნაკვალევზე

სამამულო ომის და შრომის გმირ ქალთა შეკრება

გუშინ, 14 მარტს თბილისში ჩამოვიდნენ დიდი სამამულო ომის მონაწილე ქალები, შრომის გმირები და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ჩვენი სახელოვანი მახდილოსნები, რომელთა გამარჯვებამ მარჯვენამ შორს გაუთქვა სახელი რესპუბლიკის ხვავსა და ბარაქას.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა ქალთა საერთაშორისო წლის და ფაშიზმზე გამარჯვების 30-ე წლისთავთან დაკავშირებით მოაწყო სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ომის ვეტერანს, სოციალისტური შრომის გმირ და შარშან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ ქალთა შეკრება. შეკრების მონაწილეებისათვის კომიტეტმა გადაწყვიტა აგრეთვე თავისი ხარჯებით მეგობრობის მატარებლით მოეწყო სინტერესო მოგზაურობა საბჭოთა კავშირის გმირ ქალაქებში შემდეგი მარშრუტით: — თბილისი-მოსკოვი-ლენინგრადი-ბრესტი-კიევი-ოდესა-ხერსონი-სევასტოპოლი-კრასნოდარი-ეოლგოგრადი-თბილისი.

შეკრებილთა შორის არიან ახალგაზრდებიც და თმაშეერცხლილნიც, ნაჯფარი მახდილოსნები, ოჯახის დედები, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილნი, დღესაც რომ თავიანთი წვლილი შეაქვთ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანის — ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით შესრულებაში.

პირველად მაინც ომის ვეტერანებს გავაცნობთ. მათთვის მეტად საინტერესოა ომის ნაკვალევზე ახლანდელი მოგზაურობა, იმ ადგილების ხილვა, სადაც სამ ათეულ წელზე მეტი ხნის წინათ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები იყო.

განა საინტერესო არ იქნება ჩოხატაურის რაიონის სოფელ გორაბერეკოულის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებელ ქეთევან კაკურიასათვის ეს მოგზაურობა? ის ხომ სრულიად ახალგაზრდა 33-ე ქალთა ბატალიონში მოთვალთვალე მზვერავი იყო, იბრძოდა უკრაინის, ბელორუსის, ბალტიისპირეთის ფრონტებზე. ანდა ევა მონგალიოვასათვის ლენინგრადის ნახვა. მან იქ მთელი ბლოკადა დაპყო. ლენინგრადის ფრონტზე საზენიტო პოლკში იბრძოდა მზვერავად. ახლა ევა ქობულეთის რაიონის ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის მეჩიეია. ამავე მეურნეობაში მუშაობს მარგარიტა მონდარია, რომელიც იბრძოდა ჯერ ბელორუსიის, შემდეგ უნგრეთის განთავისუფლებისათვის. საეგაკუაციო ჰოსპიტალში ერთად ემსახურებოდნენ დაჭრილებს ვანელები ფაცია ბაკურაძე და ბუგულა კაცაძე. ეკატერინე ხელაიამ ბრძოლით განელო გზა კავკასიიდან კენიგსბერგამდე. ამჟამად გარდაბნის რაიონის სამგორის მეფრინველეობის ფაბრიკის მოწინავე მუშა ივგენია მეკაია სტალინგრადის ბრძოლების მონაწილეა. იგი მეკავშირე იყო. ამჟამად მახარაძის რაიონის სოფელ ნატანებში აგრონომად მუშაობს, არის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული. ნატანების კოლმეურნეობის მეჩიეე ნინო გობრონიძე კავკასიის ბრძოლების მონაწილეა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფროსი აგრონომი ვერა ნინიკელაშვილი კი პარტიზანული შეიარაღების ყოფილი მებრძოლია. ფოთის № 2 წისქვილქარხნის ბიბლიოთეკარი ნაზიბროლა ჩიჩუა იბრძოდა კავკასიის მისადგომებთან, მონაწილეობას იღებდა როსტოვისა და ბელორუსიის განთავისუფლებაში, ოლგა სკრიაჩენკო — ფოთის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა — მონაწილეობდა ქერჩის, სევასტოპოლის, ოდესის განთავისუფლებაში.

ომის ვეტერანმა — ჩოხატაურის რაიონის სოფელ ჩაისუბნის კოლმეურნე შურა ჩხიკვაძემ თავი ისახელა შრომაში, — სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა. ასევე გაიმარჯვეს ამავე რაიონში მცხოვრებმა ომის ვეტერანებმა — მეჩაიეებმა სონია სირაძემ. პელო ქურიძემ და სხვებმა.

შეკრებილთა შორის არიან სოციალისტური შრომის გმირები. სულ მოგზაურობაში მონაწილეობას მიიღებს 200 სახელოვანი ქალი.

სამამულო ომის და შრომის გმირ ქალთა შეკრების მონაწილეებს მიესალმნენ სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ვ. კავაძე, პოეტები მორის ფოცხიშვილი, დილარ ივარდავა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კიროვის სახელობის ჩაის სამშენებლო ქარხნის ხარატი ზ. სარალიძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ვ. უალბაშვილი.

შეკრებილთა და მოგზაურობის მონაწილეთა სახელით სიტყვები წარმოთქვეს სამამულო ომის ვეტერანმა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფროსმა აგრონომმა ვ. ნინიკელაშვილმა, სოციალისტური შრომის გმირმა მეჩაიე ქსენია ბიგვავამ.

გუშინ მეგობრობის მატარებელმა კურსი მოსკოვისაკენ აიღო. დაიწყო მეტად საინტერესო მოგზაურობა ომის ნაკვალევზე.

ლ. ხუგულური.

სურათზე: ომის ვეტერან, შრომის გმირ და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ ქალთა ჯგუფი თბილისში — გამგზავრების წინ.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

მომართული მუშილდები

● ოთხი დღე „კოლმეურნის“ მუშილდოსნების გაზაზე ანგისაში ● სპარტაკიადის ჩემპიონები, შრომიზიორები ● აუხაბადის ფინალური ტურნირის წინ

გათუშიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით, სოფელ ანგისაში, მშვილდოსნობის ჩინებული ბაზა აქვს სასოფლო „სასპორტო საზოგადოება „კოლმეურნეს“. ბუნებამაც, სავსებით კანონზომიერი იყო, რომ საქართველოს VI სპარტაკიადის ფინალისტებმა მშვილდოსნობაში სწორედ ეს კეთილმოწყობილი და ბუნებრივად დამშვენებული ბაზა აირჩიეს ასპარეზობისათვის.

სპარტაკიადა აქ საზეიმოდ გახსნეს. სპორტსმენებთან ერთად ცოტა სტუმარი როდი დაესწრო ამ ცერემონიალს. ორმაგი მნიშვნელობა ჰქონდა ანგისის ტურნირს. მას უნდა გამოვლინებია არა მარტო სპარტაკიადის, არამედ ჩვენი რესპუბლიკის ჩემპიონებიც. უმაღლესი ტიტულებისათვის იბრძოდნენ თბილისის, ქუთაისის, აჭარის, აფხაზთისა და სამხრეთ ოსეთის ნაკრები კოლექტივები, რომელთა რიგებში იყვნენ ცნობილი სპორტსმენები — V სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი ქალთა შორის ლ. სორდია (ასატროვა), საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ქუთაისელი გ. რიჟამაძე, სპორტის ოსტატები ს. სინცოვა (თბილისი), მ. ბუხაიძე (ქუთაისი), ვ. ტროპინი (თბილისი) და სხვები. შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღია მსოფლიო რეკორდსმენს, საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების წევრს ქ. ლოსაბერიძეს.

პირველ ორ დღეს მშვილდოსნებს ამინდი ხელს უწყობდა, შემდეგ კი იგი ერთბაშად შეიცვალა, საქმეში ჩაერია ძლიერი ქარი და წვიმა. და მაინც შედეგები ცუდი არ ყოფილა. მაგალითად 17 წლის თბილისელმა ი. ლოგინოვმა პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა, ხოლო „მ-1“ ვარჯიშში თბილისის ვაჟთა გუნდმა 3.350 ქულა შეაგროვა და რესპუბლიკურ რეკორდს 7 ქულით გადაეჭარბა.

პროგრამა ითვალისწინებდა „მ-2“ ვარჯიშს, სროლას 4 დისტანციაზე: ვაჟთათვის — 90, 70, 50 და 30 მეტრზე, ქალთათვის — 70, 60, 50 და 30 მეტრზე. ქალთა შორის „მ-2“ ვარჯიშში სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა ქუთაისელი გ. რიჟამაძე — 2.251 ქულა. მომდევნო ორი ადგილი დაიკავეს მ. ბუხაიძემ — 2,158 ქულა და ლ. სორდიამ — 2.067 ქულა. ვაჟთა შორის ამავე ვარჯიშში აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვა ვ. ტროპინმა — 2.248 ქულა. მეორე და მესამე პრიზიორები გახდნენ თბილისელი მშვილდოსნები ვ. ლეკვეიშვილი — 2.164 ქულა და გ. გოდეზიანი — 2.152 ქულა.

სურათებზე: საქართველოს VI სპარტაკიადის ჩემპიონები გუნდურ ასპარეზობაში. ზემოთ — ქუთაისის ქალთა გუნდი (მარცხნიდან) — მ. ლონლაძე, გ. რიჟამაძე და მ. ბუხაიძე; ქვემოთ — თბილისის ვაჟთა გუნდი (მარცხნიდან) — ვ. ტროპინი, გ. გორდეზიანი, ვ. ნაცვლიშვილი და ვ. ლეკვეიშვილი.

ნ. ანასტასიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სპარტაკიადაზე ცალცალკე ჩათვლა აქვთ ქალთა და ვაჟთა გუნდებს. უმაღლესი ტიტული ქალთა კოლექტივებს შორის მოიპოვეს ქუთაისელებმა 6.240 ქულა. თბილისის გუნდი მეორე იყო, — 6.059 ქულა, აფხაზეთის მშვილდოსნებმა მესამე ადგილი დაიკავეს — 5.550 ქულა. ვაჟთა შორის მეტოქეებს დიდად გაუსწრო თბილისის ნაკრებმა და პირველობაც მას ხვდა — 6.564 ქულა. აჭარის ნაკრები მეორე ადგილზე გამოვიდა — 5.927 ქულა. ქუთაისელებმა 5.597 ქულით მესამე ადგილი დაიკავეს. საერთო გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: თბილისი, ქუთაისი, აჭარა.

ჩვენ ვესაუბრეთ საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მთავარ მწვრთნელს. მშვილდოსნობაში ბ. გოდერძიშვილს. აი რა გვითხრა მან:

ტურნირი კარგად იყო ორგანიზებული. ამაში პირველ რიგში დიდი ღვაწლი მიუძღვით აჭარის სპორტკომიტეტსა და საზოგადოება „კოლმეურნეს“. შედეგებით უკმაყოფილო არა ვართ. მაგრამ მთავარი ასპარეზობა — სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის ფინალური ტურნირი წინ არის. იგი გაიმართება აშხაბადში 7-დან 13 მაისამდე. სპარტაკიადის პროგრამაში მშვილდოსნობა პირველად 1971 წელს შეიტანეს. მაშინ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლის ლ. ასატროვას წარმატებამ საერთო აღიარება ჰპოვა. ამაზე მაშინ ბევრი ითქვა და დაიწერა. ჩვენ მაშინ 38 ქულით მეოთხე ადგილი დავიკავეთ. ეს უთუოდ დიდი გამარჯვება იყო. წლევანდელი სპარტაკიადის შედეგებზე წინასწარ ვერაფერს ვიტყვით. ვიცით მხოლოდ ის, რომ ჩვენს მშვილდოსნებს მკაცრი გამოცდა მოელით. ფავორიტებად ითვლებიან უკრაინის, მოსკოვის, ლენინგრადის, რსფსრ-ს, ესტონეთისა და მოლდავეთის გუნდები.

აშხაბადის ტურნირზე საქართველოს გუნდი წარსდგება 4 ქალით და ამდენივე ვაჟით. სავარაუდო შემადგენლობა ასეთია: ქალები — ქ. ლოსაბერიძე, ლ. სორდია (ასატროვა), გ. რიჟამაძე და მ. ბუხაიძე; ვაჟები — გ. ტროპინი, ვ. ნაცვლიშვილი, გ. არჩვაძე და ა. მეკვეიძე.

ვ. გაბელია,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.



დიუსელდორფის ყინულზე

დასავლეთ გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში გრძელდება მსოფლიოს ჩემპიონატი ჰოკეიში.

სსრ კავშირის ნაკრებმა მოუგო აშშ-ის გუნდს დიდი ანგარიშით 13:1.

გუშინ ჩვენი ჰოკეისტები შეხვდნენ ფინეთის ნაკრებს. ამავე დღეს ერთმანეთს შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიისა და შვეიცარიის გუნდები. ანგარიშით 7:0 გაიმარჯვეს ჩეხოსლოვაკიელებმა.

მოსკოვში, 24 აპრილს

მსოფლიოს მეფორმეტე ჩემპიონის, საბჭოთა დიდოსტატ ანატოლი კარპოვის მისამართით კვლავ მრავალი წერილი და დეპეშა მოდის. პირადი მოლოცვები გამოუგზავნეს ფიდე-ს პრეზიდენტმა მ. ეივემ (ჰოლანდია), ვიცე-პრეზიდენტებმა ბ. კეიჩმა (იუგოსლავია) და ლ. პრენტასმა (კანადა).

ახალი მსოფლიოს ჩემპიონის „კურთხევა“ — მას შეამბენენ დაფენის გეორგეთინი და გადასცემენ ოქროს მედალს — დანიშნულია 24 აპრილისათვის. საზეიმო ცერემონიალი გაიმართება მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში.

მოკლედ

ვიდაობა. ტოლედოში (აშშ) მსოფლიო თასის მომოგების შემდეგ სსრ კავშირის ნაკრებმა თავისუფალ ჭიდაობაში ტურნე მოაწყო და ოთხი ამხანაგური მატჩი გამართა. ბოლო შეხვედრა გაიმართა ნიუ-იორკში აშშ-ის ნაკრებთან. სტუმრებმა კვლავ გაიმარჯვეს ანგარიშით 9:1.

ძალოსნობა. საბჭოთა შტანგისტმა ალექსანდრე ვორონინმა (უმჩატესი წონა) მსოფლიოს ორი რეკორდი დამყარა ვაიმარში (გდრ) გამართულ ასპარეზობაში — „ცისფერი მახვლები“. კემეროველმა ათლეტმა ბაიუმჯობესა თავისივე მიღწევა ატაცში — 107,5 კგ და 2,5 კილოგრამით — ირანელი მოპამედ ნასირის რეკორდი ორჭიდში — 242,5 კგ.

ტანვარჯიში. ლონდონში გაიმართა 12 ქვეყნის ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო შეჯიბრება. პირველობა მოიპოვა რუმინელმა ნადია კომანეჩიმ.

ფეხბურთი. გაიმართა საქართველოს პირველობის (პირველი ჯგუფი) მეექვსე ტური, გათამაშების ერთ-ერთმა ლიდერმა ფოთის „კოლხეთმა“ ანგარიშით 3:0 დამარცხა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი. ქიაოურის „მაღარელმა“ მოუგო ტყიბულის „მეშახტეს“ — 2:0, სოხუმის „დინამომ“ — თბილისის სკა-ს — 3:2, ყვარელის „დურეჯმა“ — თელავის „კახეთს“ — 1:0, წულუკიძის „იმერეთმა“ — ზესტაფონის „მეტალურგს“ —2:0.

ოვის ნაკვალევზე

შეკითხვა: დასახიჩრებით გამოწვეული ავადმყოფობის (შრომისუნარობის) პერიოდში დახმარება რა ოდენობით მიეცემა მუშას?

ნ. სვანიშვილი,
თბილისი.

პასუხი: მუშებსა და მოსამსახურეებს შრომითი დასახიჩრებით გამოწვეული ავადმყოფობის პერიოდში სახელმწიფო სოციალური დაზღვევის წესით ეძლევათ დახმარება ხელფასის სრული ოდენობით.

შეკითხვა: საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრი, სხვა მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე გადასვლის შემთხვევაში, კარგავს თუ არა კოოპერაციული ბინით სარგებლობის უფლებას?

ა. ფვერაძე,
თბილისი.

პასუხი: საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრი, რომელიც გადავიდა სხვა მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე, გაირიცხება კოოპერატივის შემადგენლობიდან. ამასთან ერთად იგი კარგავს კოოპერაციული ბინით სარგებლობის უფლებას. მას შეუძლია მიიღოს კოოპერატივში შეტანილი პაი.

შეკითხვა: დასაშვებია თუ არა კოოპერაციული საცხოვრებელი ბინის გაცვლა მოქალაქის პირადი საკუთრების საცხოვრებელ სახლზე.

ი. მელელაშვილი,
თბილისი.

პასუხი: კანონით დაუშვებელია კოოპერაციული საცხოვრებელი ბინის გაცვლა მოქალაქის პირადი საკუთრების საცხოვრებელ სახლზე.

შეკითხვა: მოქალაქეს, რომელსაც სასამართლოს განაჩენით შეეფარდა პირობითი თავისუფლების აღკვეთა შრომაში ხავლდებულო ჩაბმით, ეს პერიოდი ჩათვლება თუ არა მუშაობის სტაჟში?

ვ. ნახუცრიშვილი,
ქუთაისი.

პასუხი: ის პირები, რომლებსაც მისჯილი აქვთ პირობითი თავისუფლების აღკვეთა შრომაში ჩაბმით, სარგებლობენ საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა ყველა უფლებით, მათ ეს პერიოდი ეთვლებათ მუშაობის სტაჟში.

შეკითხვა: ახალგაზრდა სპეციალისტებს, რომლებიც განაწილების შესაბამისად მუშაობენ, მიეცემათ თუ არა საცხოვრებელი ბინები?

ა. წიკლაური,
თბილისი.

პასუხი: ახალგაზრდა სპეციალისტებს, რომლებიც გასაწილებელი აიოან თბილისში საშუალოდ, საბინაო ფონდზე თბილისში ცხოვრების ვადისა და მუშაობის სტაჟის მიუხედავად იმ შემთხვევაში აიყვანენ, თუ მათი გასაწილების საგზურში მითითებულია საცხოვრებელი ბინით უზრუველყოფა.

შეკითხვა: მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც სწავლობენ უმაღლეს სასწავლებლებში საღამოს ან დაუსწრებელ განყოფილებებზე, ეკუთვნით თუ არა დამატებითი შვებულებები?

ნ. რუსაია,
სოხუმი.

პასუხი: მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც უმაღლესი საოსვავლებლების საღამოს ან დაუსწრებელ განყოფილებებზე სწავლობენ, ჰაერებლობენ ერთ-ერთ ამ ფორმებიდან ერთ-ერთ ფორმაში, ეძლევათ ანგარიშგებისა და ლაბორატორიული სამუშაოების ჩასაბარებლად